პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

ოთხშაბათი, 6 ივლისი, 1949 წ. № 133 (8436). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

გულისხმიერად მოვეკიდოთ მშრომელთა წერილებს — მოწინავე (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

გიორგი მიხეილის-ძე დიმიტროვი (მე-2 გვერდი).

ა. კვაჭაძე — დროზე და გულდასმით მოვამზადოთ სკოლები ახალი სასწავლო წლისათვის (მე-2 გვერდი).

სამხრივ სავაჭრო შეთანხმებათა ხელმოწერა სსრ კავშირსა, პოლონეთსა, ფინეთსა და ჩეხოსლოვაკიას შორის (მე-3 გვერდი).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია (მე-3 გვერდი).

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭოსა და ხალხთა დემოკრატიული უფლებებისათვის და პროფკავშირული ერთიანობისათვის — ვ. ვ. კუზნეცოვის მოხსენების დასასრული (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

გულისხმიერად მოვეკიდოთ მშრომელთა წერილებს

ჟველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის—ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ძლიერების ერთ-ერთი დაუშრეტელი წყაროა მისი მტკიცე, ყოველდღიური კავშირი მშრომელ ხალხთან. პარტია ყოველთვის გულდასმით უგდებს ყურს მასების ხმას, გულისხმიერად ეკიდება მათ წინადადებებს, ზრუნავს ხალხის მოთხოვნილებათა და საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის.

მასებთან პარტიის მტკიცე კავშირის ერთერთ საუკეთესო საშუალებას ბოლშევიკური პრესა წარმოადგენს. ჩვენი პრესა ახალი ტიპის პრესაა, რომლის დამახასიათებელი თვისებებია იდეურობა, პარტიულობა, სიმართლე, ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლა და მასობრივობა.

„ბოლშევიკური პრესა ხალხის უსაზღვრო ნდობითა და ყოველმხრივი დახმარებით სარგებლობს. საბჭოთა ადამიანები დიდად აფასებენ ბოლშევიკური სიტყვის ძალას. ისინი გაზეთს, როგორც ერთგულ მეგობარს, უზიარებენ თავიანთ აზრებს, ფიქრებს, პრესაში პოულობენ პასუხს მათთვის საინტერესო საკითხებზე, საჭიროების დროს გაზეთს მიმართავენ, რათა მისგან მიიღონ რჩევა, მხარდაჭერა და დახმარება“ („პრავდა“).

სხვანაირად არც შეიძლება იყოს ჩვენს ქვეყანაში, მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის — სტალინური კონსტიტუციის ქვეყანაში. ჩვენში სხვა დემოკრატიულ უფლებებთან ერთად განხორციელებულია პრესის თავისუფლება, შექმნილია ყველა პირობა საბჭოთა პრესაში მასების აქტიური მონაწილეობისათვის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლისათვის, და ამ პირობებს ხალხი წარმატებით იყენებს.

მშრომელები არა მარტო გულდასმით კითხულობენ და უჯერებენ საბჭოთა პრესას, არამედ აქტიურად თანამშრომლობენ კიდეც გაზეთებში. საბჭოთა ადამიანები, რომლებიც სახელმწიფო ინტერესებს ყველაფერზე მაღლა აყენებენ, ჩვენი პრესის საშუალებით უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ წარმატებებს, გამოცდილებას, მოურიდებლად აშკარავებენ ნაკლოვანებებს სახელმწიფო აპარატის, სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობაში, აყენებენ კონკრეტულ წინადადებებს მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, ჩვენი ქვეყნის ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

„კომუნისტის“ რედაქცია ყოველდღიურად იღებს ათობით წერილს, განცხადებას, შეკითხვას, რომელთა ავტორები არიან მუშები, კოლმეურნეები, საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლები. წერილების დიდი უმრავლესობა ეხება სამეურნეო მუშაობისა და კულტურული ცხოვრების აქტუალურ საკითხებს. წერილებში აღნიშნულია ჩვენი სოციალისტური მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ახალ მშენებლობათა, სამეურნეო ორგანოების, კულტურული დაწესებულებების როგორც მიღწევები, ისე ნაკლოვანებანი. ბევრი ავტორი თავიანთ კორესპონდენციებში მოურიდებლად ამხილებს საზოგადოებრივი, სოციალისტური ქონების დამტაცებლებს, შრომის დეზერტირებს, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევებს, საბჭოთა სახელმწიფო აპარატში აქა-იქ ჯერ კიდევ შემორჩენილ ბიუროკრატებს. ამავე დროს საბჭოთა ადამიანები შემჩნეულ ნაკლოვანებათა და დამახინჯებათა აღმოსაფხვრელად აყენებენ მნიშვნელოვანი ხასიათის წინადადებებს.

რედაქციაში შემოსული ყველა წერილის დაბეჭდვა შეუძლებელია, ამიტომ მამხილებელი წერილების ნაწილი ეგზავნებათ სხვადასხვა ორგანიზაციებს, პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელებს, რომლებიც ვალდებული არიან ყურადღებით მოეკიდონ მშრომელთა თვითეულ წერილს, გულდასმით შეამოწმონ მასში აღნიშნული ფაქტების სისწორე, მიიღონ ზომები ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, ბოროტმოქმედთა დასასჯელად და შედეგები აცნობონ რედაქციასა და წერილის ავტორს. რა თქმა უნდა, ბევრი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელი გულისხმიერად ეკიდება კორესპონდენციებს, სერიოზულად სწავლობს მათში აღნიშნულ ფაქტებს, იღებს ქმედითს ზომებს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

მაგრამ კორესპონდენციების მიმართ ყველა როდი იჩენს ასეთ დამოკიდებულებას. სამწუხაროდ, ზოგიერთი სამეურნეო და საბჭოთა მუშაკი უყურადღებოდ ეკიდება მშრომელთა წერილებს, ან აჭიანურებს მათს შესწავლას, არ იღებს ზომებს ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, დაგვიანებით აძლევს პასუხს რედაქციას და ავტორს, ან სავსებით უპასუხოდ ტოვებს წერილებს.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დღემდე არ გაუცია პასუხი რედაქციის მიერ ჯერ კიდევ გასულ წელს მისთვის გადაგზავნილ 5 მამხილებელ კორესპონდენციაზე. ასეთ პრაქტიკას სამინისტრო წელსაც განაგრძობს. მშრომელთა წერილებზე პასუხს აგვიანებს აგრეთვე განათლების სამინისტრო, რომელსაც როგორც შარშან, ისე მიმდინარე წლის პირველ თვეებში გადაგზავნილ 9 კორესპონდენციაზე პასუხი ჯერ არ უცნობებია. არ გვგონია, წლები და თვეები იყოს საჭირო იმისათვის, რომ კორესპონდენციაში აღნიშნული ფაქტების სისწორე შემოწმდეს და პასუხი ეცნობოს როგორც რედაქციას, ისე დაინტერესებულ პირებს. ეს მაგალითები, სამწუხაროდ, გამონაკლისი როდია.

მაგრამ არის შემთხვევები, როცა ცალკეული ორგანიზაციების ხელმძღვანელები ეხმაურებიან როგორც გაზეთში დაბეჭდილ, ისე დაუბეჭდავ მამხილებელ წერილებს, მაგრამ ეხმაურებიან მხოლოდ ფორმალურად, მოვალეობის მოხდის მიზნით. ასე მოიქცა ამასწინათ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილება, რომელმაც „კომუნისტის“ ა. წ. 2-ე მაისის ნომერში დაბეჭდილ წერილზე — „ბაღის ნაცვლად თავლას აშენებენ“ არადამაკმაყოფილებელი, ბიუროკრატიული პასუხი გასცა. მშრომელთა წერილებისადმი ასეთ ფორმალურ-ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას ბოლო უნდა მოეღოს.

მშრომელთა წერილებისადმი უსულგულო დამოკიდებულება ყოვლად მეუწყნარებელია და დანაშაულს წარმოადგენს. როგორც ჩანს, ზოგიერთ ხელმძღვანელ მუშაკს ავიწყდება, რომ თვითეული წერილის უკან დგას ცოცხალი ადამიანი, საბჭოთა პატრიოტი, ზოგჯერ ადამიანთა ჯგუფი და კოლექტივი, რომლებიც სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით უყურებენ ცხოვრებას და ელიან წერილში აღძრულ საკითხებზე სათანადო პასუხს.

საბჭოთა, სამეურნეო და ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელები მოვალენი არიან ყურადღებით მოეკიდონ მათს სახელზე მიღებულ წერილს, განცხადებას თუ შეკითხვას, უპასუხოდ არ დატოვონ მშრომელთა არც ერთი წერილი, არც ერთი შენიშვნა, სულ ერთია—დიდი მნიშვნელობისა იქნება იგი თუ მცირესი. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს ჩვენი პარტიის ბრძნული მითითება იმის შესახებ, რომ საჭიროა ყური დავუგდოთ მასების ხმას, გულისხმიერად და სათუთად მოვეკიდოთ მშრომელთა წინადადებებს, მათს მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს, დაუღალავად ვიზრუნოთ მათი დაკმაყოფილებისათვის. პარტიის ეს მითითება საბჭოთა, სამეურნეო და ადმინისტრაციული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა საფუძვლად უნდა დაუდონ თავიანთ მუშაობას და მტკიცედ გაატარონ ცხოვრებაში.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობების მუშაკებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 25 მაისის ბრძანებულების შესაბამისად **ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის და ციტრუსოვანი ნაყოფის** უხვი მოსავლის მიღებისათვის, როცა საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების 1948 წლის გეგმა და მთლიანად უზრუნველყვეს 1949 წლის საგაზაფხულო თესვა ყველა კულტურის თესლით, მიენიჭოთ **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეთ **ლენინის** ორდენი და ოქროს medალი **„ნამგალი და ურო“:**

1. **ალექსეევას** კლავდია ილიას ასულს—ბათუმის რაიონის გონიოს ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშას, რომელმაც 250 მსხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, მოიყვანა 458 ლიმონი.

2. **ანჩერბაკს** თევდორე გრიგოლის-ძეს — მახარაძის რაიონის ურეკის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირს, რომელმაც 4.033 მსხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, მოიყვანა 307 მანდარინი.

3. **გაბუნიას** ალექსანდრე მალაქიას-ძეს — გალის რაიონის კოხორის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს, რომელმაც 10.000 მსხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, მოიყვანა 810 მანდარინი.

4. **გვარჯალაძეს** მიხეილ გიორგის-ძეს — მახარაძის რაიონის ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს, რომელმაც 100,8 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 4.008 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

5. **გოგიას** კონსტანტინე გრიგოლის-ძეს — ქობულეთის რაიონის ჩაქვის ლენინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს, რომელმაც 100,8 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 4.368 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

6. **გონჩაროვას** ნადეჟდა ნიკიტას ასულს — გალის რაიონის კოხორის საბჭოთა მეურნეობის მუშას, რომელმაც 445 მსხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, მოიყვანა 1.205 მანდარინი.

7. **დარჩიას** თამარ სიმონის ასულს — მახარაძის რაიონის ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობის მუშას, რომელმაც 0,5 ჰექტარზე მოიყვანა 6.346 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

8. **დიდენკოს** თეკლე ტიმოთეს ასულს — წალენჯიხის რაიონის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშას, რომელმაც 0,5 ჰექტარზე მოიყვანა 6.488 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

9. **ევსტაფიევას** ვალენტინა სიმონის ასულს — ბათუმის რაიონის გონიოს ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშას, რომელმაც 250 მსხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, მოიყვანა 460 ფორთოხალი.

10. **ჟვანიას** ხუტა ვადალის-ძეს — გალის რაიონის კოხორის საბჭოთა მეურნეობის მუშას, რომელმაც 440 მსხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, მოიყვანა 1.210 მანდარინი.

11. **ზუბჩენკოს** ტატიანა პროკოფის ასულს — მახარაძის რაიონის ლაითურის კიროვის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშას, რომელმაც 0,5 ჰექტარზე მოიყვანა 6.120 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

12. **კალანდაძეს** ნესტორ ანანიას-ძეს — ქობულეთის რაიონის ჩაქვის ლენინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის უფროს აგრონომს, რომელმაც 100,8 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 4.368 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

13. **კალაშნიკოვას** ტატიანა ვასილის ასულს — მახარაძის რაიონის ლაითურის კიროვის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშას, რომელმაც 0,5 ჰექტარზე მოიყვანა 6.144 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

14. **კეჭაღმაძეს** შოთა არსენის-ძეს — მახარაძის რაიონის ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობის უფროს აგრონომს, რომელმაც 100,8 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 4.008 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

15. **კოლიბელნიკოვას** მარიამ იაკობის ასულს — მახარაძის რაიონის ურეკის საბჭოთა მეურნეობის მუშას, რომელმაც 409 მსხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, მოიყვანა 1.320 მანდარინი.

16. **კუტალაიას** ბუცა ადამურის ასულს — ზუგდიდის რაიონის ხეცერის საბჭოთა მეურნეობის მუშას, რომელმაც 0,5 ჰექტარზე მოიყვანა 6.111 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

17. **კუშნარენკოს** დარია დიმიტრის ასულს — გალის რაიონის კოხორის საბჭოთა მეურნეობის მუშას, რომელმაც 440 მსხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, მოიყვანა 1.210 მანდარინი.

18. **ლებედენკოს** ეკატერინე პეტრეს ასულს — ზუგდიდის რაიონის ინგირის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშას, რომელმაც 0,5 ჰექტარზე მოიყვანა 6.008 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

19. **მაღლაკელიძეს** ილია ვასილის-ძეს — მახარაძის რაიონის ურეკის საბჭოთა მეურნეობის განყოფილების გამგეს, რომელმაც 7.052 მსხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, მოიყვანა 894 მანდარინი.

20. **მაზურიკს** კირილეს სიმონის-ძეს — მახარაძის რაიონის ურეკის საბჭოთა მეურნეობის მუშას, რომელმაც 410 მსხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, მოიყვანა 1.304 მანდარინი.

21. **მაზურიკს** ოლღა კირილეს ასულს — მახარაძის რაიონის ურეკის საბჭოთა მეურნეობის მუშას, რომელმაც 415 მსხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, მოიყვანა 1.210 მანდარინი.

22. **მაქსიმოვას** ევდოკია სტეფანეს ასულს — ბათუმის რაიონის გონიოს ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშას, რომელმაც 250 მსხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, მოიყვანა 462 ლიმონი.

23. **მიქელაძეს** ვახტანგ ლევანის-ძეს — ქობულეთის რაიონის ჩაქვის ლენინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მთავარ აგრონომს, რომელმაც 100,8 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 4.368 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

24. **მილაევას** ოლღა გიორგის ასულს — მახარაძის რაიონის ურეკის საბჭოთა მეურნეობის მუშას, რომელმაც 425 მსხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, მოიყვანა 1.205 მანდარინი.

25. **მშვიდობაძეს** ვასილ იოსების-ძეს — ქობულეთის რაიონის ჩაქვის ლენინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის განყოფილების გამგეს, რომელმაც 7.013 მსხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, მოიყვანა 863 მანდარინი.

26. **ნაცვალაძეს** ვალერიან გიორგის-ძეს — მახარაძის რაიონის ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირს, რომელმაც 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 7.320 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

27. **პაშკოვას** ოლღა თევდორეს ასულს — მახარაძის რაიონის ურეკის საბჭოთა მეურნეობის მუშას, რომელმაც 415 მსხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, მოიყვანა 1.350 მანდარინი.

28. **რადჩენკოს** მელანია არტემის ასულს — მახარაძის რაიონის ურეკის საბჭოთა მეურნეობის მუშას, რომელმაც 420 მსხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, მოიყვანა 1.230 მანდარინი.

29. **რიაშენცევას** ზინაიდა ვასილის ასულს — მახარაძის რაიონის ურეკის საბჭოთა მეურნეობის მუშას, რომელმაც 415 მსხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, მოიყვანა 1.235 მანდარინი.

30. **თოდრიას** ბენიამინე ივლიანეს-ძეს — მახარაძის რაიონის ურეკის საბჭოთა მეურნეობის მთავარ აგრონომს, რომელმაც 11.491 მსხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, მოიყვანა 873 მანდარინი.

31. **ტრაპაიძეს** ალფესი სიმონის-ძეს — მახარაძის რაიონის ურეკის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს, რომელმაც 11.491 მსხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, მოიყვანა 873 მანდარინი.

32. **უტკინას** ალექსანდრა ანდრიას ასულს — მახარაძის რაიონის ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობის მუშას, რომელმაც 0,5 ჰექტარზე მოიყვანა 6.082 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

33. **ფრეიფვას** ვერა კონსტანტინეს ასულს — ქობულეთის რაიონის ჩაქვის ლენინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშას, რომელმაც 0,5 ჰექტარზე მოიყვანა 6.260 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

34. **ხაიბრახიმოვს** ხაირულ სილეს-ძეს — მახარაძის რაიონის ურეკის საბჭოთა მეურნეობის მუშას, რომელმაც 403 მსხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, მოიყვანა 1.454 მანდარინი.

35. **ხრიპუნს** ევდოკია ეგორის ასულს—ბათუმის რაიონის გონიოს ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშას, რომელმაც 250 მსხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, მოიყვანა 469 ლიმონი.

36. **ხუნდაძეს** მიხეილ ბარნაბის-ძეს — ბათუმის რაიონის ახალშენის საბჭოთა მეურნეობის მუშას, რომელმაც 250 მსხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, მოიყვანა 500 ლიმონი.

37. **ჩიფოვას** ალექსანდრა ტიმოთეს ასულს — მახარაძის რაიონის ლაითურის კიროვის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშას, რომელმაც 0,5 ჰექტარზე მოიყვანა 6.261 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

38. **შკირიას** გარპინე გიორგის ასულს—მახარაძის რაიონის ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობის მუშას, რომელმაც 0,5 ჰექტარზე მოიყვანა 6.517 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

39. **იურჩენკოს** ნადეჟდა არხიპის ასულს — ზუგდიდის რაიონის ინგირის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშას, რომელმაც 0,5 ჰექტარზე მოიყვანა 6.016 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

40. **იაიცკაიას** ანასტასია სერგის ასულს — გალის რაიონის ახიგვარის მიქოიანის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშას, რომელმაც 0,5 ჰექტარზე მოიყვანა 6.111 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1949 წლის 5 ივლისი.

ი. ვ. სტალინის თხზულებათა მეხუთე ტომი ქართულ ენაზე

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის პოლიტიკური ლიტერატურის სექტორმა ქართულ ენაზე გამოუშვა ი. ვ. ლენინის თხზულებათა მეხუთე ტომი.

მეხუთე ტომი შეიცავს ვ. ი. ლენინის მიერ 1901 წლის მაისიდან 1902 წლის თებერვლამდე დაწერილ ნაწარმოებთ.

ტომში შედის ლენინის სტატიები და შენიშვნები, რომლებიც გამოქვეყნებული იყო „ისკრაში“: „რით დავიწყოთ“, „ახალი ხოცვა-ჟლეტა“, „საგულისხმო აღიარება“, „კრიზისის გაკვეთილები“, „ბატონ-ყმობის მოტრფიალენი მუშაობენ“, „ბრძოლა დამშეულებთან“, „საზღვარგარეთული საქმეები“ და სხვ. ამ სტატიებში ლენინი ეხმაურება რუსეთის შინაური ცხოვრების ყველა უმნიშვნელოვანეს მოვლენას, აშუქებს პარტიის მშენებლობისა და პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის კონკრეტულ ამოცანებს.

სტატია „ერობის მდევნელნი და ლიბერალიზმის ჰანიბალები“, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „ზარიაში“ 1901 წლის დეკემბერში, მიძღვნილია ლიბერალური ბურჟუაზიის მიმართ პროლეტარიატის მარქსისტული პარტიის ტაქტიკის შემუშავებისადმი.

ნაწარმოები „აგრარული საკითხი და „მარქსის კრიტიკოსები“ მიძღვნილია აგრარული საკითხის მარქსისტული თეორიის გადმოცემისა და განვითარებისადმი და რუსი და საერთაშორისო რეფორმისტების კრიტიკისადმი.

მეხუთე ტომში შედის აგრეთვე ლენინის ნაშრომი „რა ვაკეთოთ?“, რომლის თეორიული დებულებანი საფუძვლად დაედო ბოლშევიკური პარტიის იდეოლოგიას.

ტომში მოთავსებულია ვ. ი. ლენინის თხზულებებში პირველად შეტანილი შვიდი ნაშრომი, მათ შორის სამი შენიშვნა, გამოქვეყნებული „ისკრაში“: „ერობის ყრილობა“, „სამხრეთის მუშების“ წერილის შესახებ“ და „პასუხი „მკითხველს“.

ტომი დასაბეჭდად მოამზადა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა. ტომის ტირაჟი—20 ათასი ეგზემპლარია. (საქდესი).

ი. ვ. ლენინის და ი. ბ. სტალინის ბრინჯაოს ბიუსტები

ხაშური. (საკ. კორ.) ქალაქის ცენტრში მდებარე ბაღში დადგა დიდი ბელადების ვ. ი. ლენინის და ი. ბ. სტალინის ბრინჯაოს ბიუსტები.

თათბირი საკავშირო აღკპ ცენტრალურ კომიტეტში

საკავშირო აღკპ ცენტრალურ კომიტეტში შედგა კომკავშირის საოლქო და სამხარეო კომიტეტებისა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტების სოფლის ახალგაზრდობაში მუშაობის განყოფილებათა გამგეების თათბირი. მოხსენება „სოფლად კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ გააკეთა საკავშირო აღკპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის ახალგაზრდობაში მუშაობის განყოფილების გამგემ ამხ. ვოროპაევმა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სოფლის კომკავშირული ორგანიზაციები, ასრულებენ რა საკავშირო აღკპ XI ყრილობის გადაწყვეტილებებს, ქმედით დახმარებას უწევენ პარტიულ ორგანიზაციებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა უბანზე. სოფლის კომკავშირელები და კავშირგარეშე ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის ვადამდე განხორციელებისათვის ბრძოლაში, ატარებენ საკვების დამზადების, სასილოსე ნაგებობათა მშენებლობის, ახალი საძოვრების ათვისების დეკადებსა და ერთთვიურებს.

სოფლის კომკავშირელები ენერგიულად მონაწილეობენ ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმის შესრულებაში და გააჩაღეს ბრძოლა კოლმეურნეობებში ეკონომიისა და მომჭირნეობისათვის.

— საკოლმეურნეო სოფელში, — ამბობს მომხსენებელი, — ბევრი მინდვრის სამუშაოთა ყველაზე პასუხსაგები პერიოდი — მოსავლის აღება და საოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება. კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უაღრესად აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მზადებაში მოსავლის აღებისა და პურის ჩაბარებისათვის. კომკავშირის ვალია ფართოდ ჩაბას ახალგაზრდობა სოციალისტურ შეჯიბრებაში მოსავლის აღებისა და პურის დამზადების სანიმუშოდ ჩატარებისათვის.

ამჟამად ჩვენი ქვეყნის 84 ოლქის ყველა კოლმეურნეობაში შექმნილია კომკავშირული ორგანიზაციები. საჭიროა შემდეგშიც გავაუმჯობესოთ მუშაობა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის, მეტი ყურადღება მივაქციოთ სოფლის კომკავშირული ორგანიზაციების ორგანიზაციულ განმტკიცებას, რათა თვითეული მათგანი ახალგაზრდობის მებრძოლი რაზმი, პარტიული ორგანიზაციის ერთგული თანაშემწე გახდეს.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. მარტიშოვმა (ბელორუსიის აღკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი), კირეევმა (საკავშირო აღკპ ჩკალოვის საოლქო კომიტეტი), სინიცამ (მოლდავეთის აღკპ ცენტრალური კომიტეტი), შაიხოვმა (უზბეკეთის აღკპ ცენტრალური კომიტეტი), ვასილენკომ (საკავშირო აღკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტი), სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ამხ. ბორისოვმა და სხვებმა.

თათბირის ბოლოს გამოვიდა ბაკავშირო აღკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ნ. ა. მიხაილოვი. (საკდესი).

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მესამე სესხის დიდი მოგებანი

შემნახველ სალაროთა მთავარმა სამმართველომ მიიღო ცხრილი მოგებებისა, რომლებიც ხვდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მესამე სახელმწიფო სესხის ობლიგაციებს. ამ სესხის პირველი ტირაჟი 3 ივლისს შედგა დნეპროპეტროვსკში.

50 ათასი მანეთი მოგება ხვდა სესხის ყველა 226 თანრიგის 059944 სერიის № 32 ობლიგაციას.

25 ათას მანეთ მოგებას მიიღებენ 052953 სერიის № 36 ობლიგაციისა და 054645 სერიის № 26 ობლიგაციის მფლობელები.

10 ათასი მანეთი მოგება ხვდა შემდეგ ობლიგაციებს: 046290 სერიის № 05, 047944 სერიის № 44, 049822 სერიის № 09, 054168 სერიის № 25 და 054903 სერიის № 02 ობლიგაციებს.

გათამაშებულ იქნა აგრეთვე 5 ათასი მანეთის, 1000, 500 და 200 მანეთის მოგებანი — სულ 520.116.400 მანეთის 1.949.250 მოგება.

მოგებათა ცხრილი ამ დღეებში მთლიანად გამოქვეყნდება პრესაში.

(საკდესი).

გიორგი მიხეილის-ძე დიმიტროვი

სამგლოვიარო მიტინგები საღგურებზე

კიევი, 4 ივლისი. (საკდესი). საბჭოთა უკრაინის მშრომელებმა უკანასკნელად გააცილეს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე გიორგი მიხეილის-ძე დიმიტროვი.

რკინიგზის სადგურებზე იმ მატარებლის შესახვედრად, რომლითაც გ. მ. დიმიტროვს მიასვენებდნენ, ათასობით იკრიბებოდნენ პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების წარმომადგენლები, რათა გამოსთხოვებოდნენ დიდი სტალინის ერთგულ თანამებრძოლს, კომუნიზმის საქმისათვის დაუღალავ მებრძოლს.

4 ივლისს, 1 საათსა და 50 წუთზე, სამგლოვიარო მატარებელი მიადგა სადგურ ხუტორ მიხაილოვსკის. თუმცა გვიან იყო, მაგრამ ვაგზალში 1.000-მდე კაცი შეიკრიბა. სამგლოვიარო მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა უკრაინის კ. პ. (ბ) სუმის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ბადაევმა, რომელმაც ოლქის მშრომელთა მძიმე მწუხარება გამოთქვა გ. მ. დიმიტროვის გარდაცვალების გამო. შემდეგ ილაპარაკა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ვილკო ჩერვენკოვმა.

განსვენებულის კუბო ბევრი გვირგვინით შეამკეს.

25 ათასზე მეტი მშრომელი შეიკრიბა სადგურ ვინიცაში მატარებლის ჩამოდგომის დროს. დროშებს სამგლოვიარო ლენტები აქვს შემოვლებული. მატარებლის მისვლის შემდეგ ჩამწკრივებულ იქნა საპატიო ყარაული. გ. მ. დიმიტროვის ნათელი ხსოვნისადმი მიძღვნილი სიტყვები წარმოთქვეს უკრაინის კ. პ. (ბ) საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. კლოკოცკიმ და ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ვილკო ჩერვენკოვმა.

სადგურებში ნეჟინში, ფასტოვში, ჟმერინკასა და მოგილევ-პოდოლსკში ათასობით ადამიანი იკრიბებოდა და ელოდა მატარებელს. ისინი გამოუთქმელი მწუხარებით ეთხოვებოდნენ გიორგი მიხეილის-ძე დიმიტროვს.

უკრაინის დედაქალაქის მშრომელები ეთხოვებიან გ. მ. დიმიტროვს

კიევი, 4 ივლისი. (საკდესი). სამგლოვიარო მატარებელმა, რომლითაც სოფიაში მიასვენებენ ბულგარეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს გიორგი მიხეილის-ძე დიმიტროვს, 4 ივლისს კიევში გამოიარა.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, კომუნიზმისათვის მგზნებარე მებრძოლის წინაშე უკანასკნელი ვალის მოსახდელად ვაგზალში გამოვიდნენ პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელნი, ფაბრიკა-ქარხნების მშრომელთა მრავალი დელეგაცია, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეები, უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების სტუდენტები.

ვაგზლის შენობაზეა გ. მ. დიმიტროვის დიდი პორტრეტი, რომელსაც გარს შემოვლებული აქვს შავი კრეპი. დახრილია სამგლოვიარო ლენტებით შემოვლებული ბულგარეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმები.

პერონზე ჩამწკრივებულია საპატიო ყარაული.

დიდი სტალინის ერთგულ თანამებრძოლთან, კომუნიზმისათვის მტკიცე მებრძოლთან გიორგი მიხეილის-ძე დიმიტროვთან გამოსათხოვებლად მოვიდნენ ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი, ი. ს. სენინი, ა. ა. გრეჩკო, კ. ზ. ლიტვინი, ი. დ. ნაზარენკო, ა. ა. გრიზა, ს. ა. კოვპაკი და სხვები.

...9 საათი და 10 წუთია. სამგლოვიარო მარშის ჰანგებში კიევის ვაგზლის პერონს მოადგა სპეციალური მატარებელი. ვაგონებიდან გამოდიან სსრ კავშირის მთავრობის დელეგაციის წევრები ამხ. კ. ე. ვოროშილოვის მეთაურობით, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ბულგარეთის მთავრობის წევრები ამხანაგები ვილკო ჩერვენკოვი, გიორგი ჩანკოვი და ანტონ იუგოვი, დიმიტროვის ნათესავ-მეგობრები, მოსკოვისა და ლენინგრადის მშრომელთა დელეგაციის წევრები.

დგება უკანასკნელი წუთები ბულგარელი ხალხის დიდ შვილთან გამოთხოვებისა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე კომუნიზმისათვის ბრძოლას შესწირა. ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ა. გრეჩკო, კ. ზ. ლიტვინი და ი. დ. ნაზარენკო გ. მ. დიმიტროვის კუბოს ამკობენ უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მიძღვნილი გვირგვინით. შემდეგ კუბო შემკეს უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს და უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, უკრაინის კ. პ. (ბ) კიევის საოლქო კომიტეტისა და საქალაქო კომიტეტის, მშრომელთა დეპუტატების კიევის საოლქო და საქალაქო საბჭოების ალმასკომების გვირგვინებით.

კუბოს გვირგვინებით ამკობს კიევის უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლე ბულგარელი სტუდენტების დელეგაცია.

გვირგვინებით შემკობის შემდეგ მოკლე სიტყვა წარმოთქვა უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ი. დ. ნაზარენკომ.

— უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, უკრაინის სსრ მთავრობა და უკრაინელი ხალხი,—ამბობს ამხ. ი. დ. ნაზარენკო,—ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და თანაგრძნობას უცხადებენ ბულგარეთის კომუნისტურ პარტიას და ბულგარელ ხალხს გიორგი მიხეილის-ძე დიმიტროვის — საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, ბულგარელი ხალხისა და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის დიდი შვილის, ბელადისა და მასწავლებლის გარდაცვალების გამო. უკრაინელი ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა სამარადისოდ შეინახავს თავის გულში დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლის, კომუნიზმის საქმისათვის თავდადებული მებრძოლის, ძვირფას ამხანაგ გიორგი მიხეილის-ძე დიმიტროვის ნათელ ხსოვნას.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ვილკო ჩერვენკოვმა ბულგარეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მადლობა გადაუხადა უკრაინელ ხალხს ძმური თანაგრძნობისათვის მძიმე დანაკლისის გამო, რაც ბულგარელმა ხალხმა განიცადა გიორგი მიხეილის-ძე დიმიტროვის გარდაცვალებით.

— ამხანაგი გ. მ. დიმიტროვი,—თქვა ვილკო ჩერვენკოვმა, — გვასწავლიდა თვალისჩინივით გავფრთხილებოდით ბულგარელი ხალხის მეგობრობას დიდი საბჭოთა კავშირის ხალხებთან. გ. მ. დიმიტროვის კუბოსთან ფიცსა ვდებთ განუხრელად შევასრულოთ ჩვენი საყვარელი ბელადისა და მეგობრის ეს ანდერძი, ბოლომდე ერთგული ვიყოთ ინტერნაციონალიზმის იდეების, ბოლშევიკური პარტიის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა გენიალური ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ ი. ბ. სტალინის იდეებისა.

...გაისმის სამგლოვიარო მელოდიის მწუხარე ჰანგები. ორთქლმავლის ნელი საყვირი, და სამგლოვიარო მატარებელი განაგრძობს გზას ბულგარეთის დედაქალაქ სოფიისაკენ.

* * *

სამგლოვიარო მატარებლით ბულგარეთს გაემგზავრა გ. მ. დიმიტროვის დაკრძალვაში მონაწილეობის მისაღებად უკრაინის მშრომელთა დელეგაცია უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ს. ა. კოვპაკის, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის და ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პ. გ. ტიჩინას, უკრაინის კ. პ. (ბ) კიევის საქალაქო კომიტეტის მდივნის ამხ. პ. ი. კორნეიცკის და ქარხანა „ტოჩელექტრო-პრიბორის“ დირექტორის ამხ. ო. ი. ივაშჩენკოს შემადგენლობით.

აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი

აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი დიდად დამწუხრებულია მსოფლიო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, იმპერიალიზმის წინააღმდეგ მგზნებარე მებრძოლის, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის და ბულგარეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გიორგი მიხეილის-ძე დიმიტროვის გარდაცვალების გამო.

ამხანაგ გ. მ. დიმიტროვის მთელი ცხოვრება ბულგარელი ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, ლენინ-სტალინის დიადი იდეების გამარჯვებისათვის, კომუნიზმისათვის თავდადებული ბრძოლის მშვენიერი მაგალითია.

ამხანაგ დიმიტროვის სახით ბულგარელმა ხალხმა დაკარგა თავისი დიდი შვილი, ახალი, სოციალისტური ბულგარეთის მშენებლობის ორგანიზატორი. საერთაშორისო მუშათა მოძრაობამ დაკარგა ერთ-ერთი უყველაზე გამოჩენილი ხელმძღვანელი.

აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ღრმა სამძიმარს უცხადებს ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, კომუნისტებსა და ყველა მშრომელთ ბულგარელი ხალხის ბელადის გიორგი მიხეილის-ძე დიმიტროვის გარდაცვალების გამო.

მგზნებარე მებრძოლი, მსოფლიოს ერთ-ერთი გამოჩენილი კომუნისტი მოღვაწე გიორგი მიხეილის-ძე დიმიტროვი მარად იცოცხლებს აზერბაიჯანის მშრომელთა ხსოვნაში.

აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი

გლოვის ღღეები ბულგარეთში

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილება

სოფია, 4 ივლისი. (საკდესი). ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის, ბულგარეთის ხალხის ბელადისა და მასწავლებლის გ. მ. დიმიტროვის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ბულგარეთის მინისტრთა საბჭომ დაადგინა, რომ კუბო პრემიერ-მინისტრ გიორგი დიმიტროვის ცხედრით, რომელსაც სოფიაში ოთხშაბათს, 6 ივლისს, ჩამოასვენებენ, დადგმული იქნება სახალხო კრების სხდომათა დარბაზში, რათა მას მთელი ხალხი გამოეთხოვოს.

პრემიერ-მინისტრ ამხანაგ გიორგი დიმიტროვის ცხედარი ბალზამირებულია. მისი შემდგომი შენახვისათვის 9 სექტემბრის სახელობის მოედანზე, მინისტრთა საბჭოს შენობის პირდაპირ აშენდება სპეციალური მავზოლეუმი.

პრემიერ-მინისტრ ამხანაგ გიორგი დიმიტროვის ცხედარს მავზოლეუმში გადაასვენებენ კვირას, ა. წ. 10 ივლისს.

* * *

სოფია, 4 ივლისი. (საკდესი). ბულგარეთის მშრომელებს მწუხარების მძიმე დღეები დაუდგათ. მთელი ბულგარეთი ძაძებითაა შემოსილი, სოფიის სხვადასხვა რაიონებში პოსტამენტებზე დადგმულია გიორგი დიმიტროვის ბიუსტები. მათ ახლოს დღისით და ღამით დგას საპატიო ყარაული, რომელიც ხშირად იცვლება.

მშრომელთა განუწყვეტელი ნაკადი მიემართება სოფიის ოპოლჩენის ქუჩის № 66 სახლისაკენ. 1923 წლამდე აქ ცხოვრობდა გიორგი დიმიტროვი.

ყველგან იძართება სამგლოვიარო მიტინგები და კრებები. სოფიის ფაბრიკა „ბოლგარიას“ მუშებმა სამგლოვიარო მიტინგზე გადაწყვეტილება მიიღეს გ. მ. დიმიტროვის ხსოვნას პატივი სცენ შრომის ნაყოფიერების გადიდებით.

ღრმა მწუხარებით იყო გამსჭვალული პლევნის ფაბრიკა „კაილიშკა დოლინას“ და სხვა საწარმოთა მუშების სამგლოვიარო მიტინგებზე წარმოთქმული სიტყვები. კრებაზე სიტყვით გამოვიდა მუშა ივან კანტარჯიევი, რომელმაც განაცხადა:

— გიორგი დიმიტროვს ჯერ კიდევ 1904 წლიდან ვიცნობ. მთელ სიცოცხლეში აღტაცებაში მოვყავდი მის ბრძოლას მუშათა კლასის საქმისათვის, მისგან ვსწავლობდი სიძნელეთა დაძლევასა და წარმატების მიღწევას.

ხალხმრავალი სამგლოვიარო მიტინგები და კრებები მოეწყო გუშინ დობრუჯის ქალაქებსა და სოფლებში. მშრომელებმა ყველგან ერთი წუთის დუმილით აღნიშნეს გიორგი დიმიტროვის ნათელი ხსოვნა და ფიცი დასდეს მიბაძონ მის მაგალითს—მთელი ძალებით ჩაებან სოციალიზმისათვის ბრძოლაში, რასაც გიორგი დიმიტროვმა მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა.

ბურგასის საქალაქო სახალხო საბჭოს სამგლოვიარო სესიამ გადაწყვეტილება მიიღო ბულგარელი ხალხის ბელადსა და მასწავლებელს გიორგი დიმიტროვს მონუმენტური ძეგლი დაუდგას ბურგასში. გიორგი დიმიტროვის სახელი მიენიჭა ქალაქის ცენტრალურ მოედანს, ტექნიკურ გიმნაზიასა და ქალაქის ერთ-ერთ ქარხანას.

ხასკოვოში სამგლოვიარო მიტინგზე მღელვარე სიტყვით გამოვიდა კომუნისტური პარტიის საოკოლიო (სამაზრო) კომიტეტის მდივანი გიორგი იორდანოვი. აღნიშნა რა გ. მ. დიმიტროვის უდიდესი დამსახურება საერთაშორისო მუშათა კლასის მოძრაობაში და ბულგარეთის მშრომელთა ბრძოლაში, იორდანოვმა თქვა:

— ჩვენ, ხასკოვოს ოკოლიის კომუნისტები და მშრომელები ბულგარეთის კომუნისტური პარტიის დიმიტროვული ცენტრალური კომიტეტის მტკიცე დასაყრდენი ვიქნებით და არ დავზოგავთ ძალებს გიორგი დიმიტროვის სახელოვანი საქმის განგრძობისათვის. ჩვენ ავაშენებთ სოციალიზმს ჩვენს ქვეყანაში. გიორგი დიმიტროვის ცხოვრება და ბრძოლა გზის მანათობელი ვარსკვლავი იქნება მთელი ჩვენი თაობისათვის.

სტარა ზაგორეში სამგლოვიარო მიტინგს 25 ათასზე მეტი მშრომელი დაესწრო.

კრუმოვგრადის მშრომელებმა, რომლებიც სამგლოვიარო მიტინგზე შეიკრიბნენ, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნეს დეპეშა, სადაც აცხადებენ, რომ მტკიცედ გადაწყვეტილი აქვთ განუხრელად შეასრულონ გიორგი დიმიტროვის ანდერძი, განამტკიცონ ურღვევი მეგობრობა დიდ საბჭოთა კავშირთან და საკავშირო კომუნისტურ პარტიასთან (ბ), განამტკიცონ მუშათა კლასის კავშირი მშრომელ გლეხობასთან, შეინარჩუნონ კომუნისტური პარტიის ერთიანობა და ააშენონ ბულგარეთში სოციალიზმი.

დროზე და გულდასმით მოვამზადოთ სკოლები ახალი სასწავლო წლისათვის

დამთავრდა გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდები ჩვენი რესპუბლიკის სკოლებში. გამოცდებმა ცხადყო, რომ გასულ წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად ამაღლდა სწავლების იდეურ-პოლიტიკური დონე, მოსწავლეთა ცოდნა უფრო მინაარსიანი და ღრმა გახდა. ეს სკოლის შესახებ პარტიისა და მთავრობის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს დადგენილებათა განუხრელი განხორციელების შედეგია.

ამხ. კ. ჩარკვიანმა თავის მოხსენებაში საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე აღნიშნა, რომ „საშუალო სკოლებში სწავლების ვადის თერთმეტ წლამდე გადიდებამ, რაც საკავშირო მთავრობის ნებართვით განხორციელდა, უდიდესი როლი შეასრულა რუსული ენის, საბუნებისმეტყველო და მათემატიკური საგნების სწავლების ძირფესვიანი გაუმჯობესების საქმეში“.

ჩვენი სახელმწიფო უხვად ხარჯავს სახსრებს სახალხო განათლებაზე. საქართველოს სს რესპუბლიკაში 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით ასიგნებანი განათლებაზე შეადგენენ 1.057 მილიონ მანეთს—57 მილიონი მანეთით მეტს, ვიდრე შარშან. მნიშვნელოვანი სახსრები დაიხარჯება წელს სკოლების და სახალხო განათლების სხვა დაწესებულებათა კაპიტალურ მშენებლობაზე.

საბჭოთა მასწავლებლისათვის ნამდვილი სტალინური ზრუნვის მკაფიო დადასტურებაა პარტიისა და მთავრობის დადგენილება განუწყვეტელი და უმწიკვლო პედაგოგიური მუშაობისათვის მასწავლებლებისა და სკოლის სხვა მუშაკების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ. ეს ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ მასწავლებლის კეთილშობილური შრომა ჩვენში მთელი ხალხის ყურადღებითა და პატივისცემით სარგებლობს. წელს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია რესპუბლიკის ზოგად-საგანმანათლებლო სკოლების 6.700-ზე მეტი მასწავლებელი.

მასწავლებლისათვის სტალინური ზრუნვის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია პარტიისა და მთავრობის დადგენილება რვაწლიანი და საშუალო სკოლების მასწავლებელთათვის შეღავათებისა და უპირატესობათა შესახებ.

ამ დადგენილების საფუძველზე წელს საქართველოს სოფლის სკოლების მასწავლებელთათვის უნდა აშენდეს ათასზე მეტი საცხოვრებელი სახლი.

სკოლისა და მასწავლებლის მუშაობის აღმავლობაში განსაკუთრებულ როლს ასრულებენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებანი იდეოლოგიურ საკითხებზე. პარტიის ეს გადაწყვეტილებანი სკოლისაგან მოითხოვენ იდეურობის ამაღლებას, მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის შემდგომ გაძლიერებას, უცხო იდეოლოგიის გავლენებთან შეუნელებელ ბრძოლას. ამ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა დამოკიდებულია არა მარტო სკოლასა და მასწავლებელზე, არამედ იმ პირობებზეც, რომლებშიც მათ უხდებათ მუშაობა.

საბჭოთა ხალხს უყვარს სკოლა, რომელშიც მისი ახალგაზრდა თაობა სწავლობს, ყურადღებითა და მზრუნველობით ეპყრობა მას. სკოლისათვის ყოველდღიური ზრუნვის შედეგად რესპუბლიკის მეტი წილი სკოლები შარშან წარმატებით მოემზადნენ სასწავლო წლისათვის. ხაშურის რაიონის კოლმეურნეთა პატრიოტულ მოწოდებას ახალი სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებათა წარმატებით მომზადების საქმეში ჭოლმეურნეთა ფართო მასების მონაწილეობის შესახებ ფართოდ გამოეხმაურნენ ჩვენი რესპუბლიკის სხვა რაიონების კოლმეურნენი, საწარმოები, დაწესებულებანი და სამეურნეო ორგანიზაციები. ბევრ რაიონსა და ქალაქში მაქსიმალურად იქნა გამოყენებული ადგილობრივი რესურსები, საშენი მასალა, მუშახელი, საჭაპანო ტრანსპორტი, და უკვე 1 აგვისტოსათვის წესრიგზე იქნა მოყვანილი ყველა სასწავლო შენობა და ინვენტარი.

ხაშურის, ახაშის, ლანჩხუთის, მახარაძის, ბორჯომის, ზუგდიდის, ცხაკაიას, გორის, თელავის, ლაგოდეხის, გაგრის, ხულოსა და სხვა რაიონების კოლმეურნეებმა ღირსეულად შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებანი. ამ რაიონების ყველა სკოლა და საბავშვო დაწესებულება 20 აგვისტოსათვის მთლიანად მოემზადა ახალი სასწავლო წლისათვის.

თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, ფოთის სკოლების კეთილმოწყობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სამეურნეო ორგანიზაციებმა. სკოლებისათვის საკმაო რაოდენობით გამოიყო ხე-ტყის მასალა, ლურსმანი, მინა და სხვა, რითაც დიდი დახმარება გაეწია სახალხო განათლების ორგანოებსა და სკოლებს ახალი სასწავლო წლის პირველი დღისადმე ნორმალური მეცადინეობის უზრუნველსაყოფად.

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები ღრმად სწვდებიან სკოლების მუშაობას, პრაქტიკულ დახმარებას უწევენ მათ. პარტიული კომიტეტების ბიუროებზე განხილული საკითხების ხასიათი ცხადყოფს, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები უაღრესად დაინტერესებული არიან სასკოლო ცხოვრების ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხით. საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტებმა, ზუგდიდის, ხაშურის, ახაშის, ზესტაფონის, მახარაძის, ლანჩხუთის, გორის, ახალციხის რაიკომებმა სასწავლო წლის მანძილზე განიხილეს ისეთი საკითხები, როგორიცაა სკოლების მომზადება ახალი სასწავლო წლისათვის, საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების მიმდინარეობა, სახელმძღვანელოებითა და სხვა სასწავლო ნივთებით სკოლების მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებანი, მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლება, სკოლის პირველადი პარტორგანიზაციების მუშაობა და სხვ.

მომავალი სასწავლო წელი დაიწყება უფრო ხელსაყრელ პირობებში. წელს საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობამ, საკავშირო მთავრობის დადგენილების თანახმად, უნდა გამოსცეს 3,1 მილიონზე მეტი ეგზემპლარი ახალი სახელმძღვანელო. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ შარშან გამოცემული იყო 2 მილიონამდე ეგზემპლარი, ძნელი არ არის წარმოვიდგინოთ, რა მკვეთრად შეიცვლება მდგომარეობა სასწავლო წიგნით მოსწავლეთა უზრუნველყოფის საქმეში.

გასული წლებისაგან განსხვავებით, მომავალი სასწავლო წლისათვის სკოლების ყოველმხრივი მომზადება ბევრ ადგილას დაიწყო გაცილებით უფრო ადრე და მშრომელთა უფართოესი მასების აქტიური მონაწილეობით. დღითიდღე ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების უკეთ მოსამზადებლად. შეჯიბრებაში ებმებიან რაიონები, ქალაქები, სოფლები და კოლმეურნეობები. აბაშის რაიონმა იკისრა კონკრეტული ვალდებულებანი და მოწოდებით მიმართა დასავლეთ საქართველოს ყველა რაიონს, თელავის რაიონმა — აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებს, ხულოს რაიონმა — აჭარისა და აფხაზეთის ასსრ რაიონებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, წალკისა და ქლუხორის რაიონებს — ჩაებან შეჯიბრებაში.

ჩვენს პრესაში უკვე გამოქვეყნდა სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორთა მიერ ნაკისრი ვალდებულებანი. ამ რაიონებში წინასწარ შეუდგნენ სკოლების მატერიალური ბაზის გაფართოებასა და განმტკიცებას საყოველთაო სწავლების წარმატებით განხორციელებისათვის. დაიწყეს მასწავლებლის შრომისა და ბავშვის სწავლისათვის ხელსაყრელი პირობების მომზადება. დეტალურად არის შესწავლილი რაიონის მატერიალური რესურსები და მოწინავე კოლმეურნეობათა შესაძლებლობანი, რაც საშუალებას იძლევა სწრაფად და ორგანიზებულად დამზადდეს სასკოლო ინვენტარი, შეკეთდეს სკოლები, გაძლიერდეს სასკოლო მშენებლობა.

რესპუბლიკის ბევრმა რაიონმა, ჯერ კიდევ სოციალისტური შეჯიბრების მასობრივად გაჩაღებამდე, საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა პასუხად, დაიწყო ახალი სასწავლო წლისათვის მზადება და ამ მხრივ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია. წელს ოზჰაჩირის რაიონის მშრომელებმა პარტიული ორგანიზაციების დახმარებით სერიოზულად მოჰკიდეს ხელი სასკოლო მუშაობის გაძლიერების საქმეს. მოეწყო კვირაობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 3 ათასზე მეტმა კაცმა. კოლმეურნეობათა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციათა ურმებითა და ავტომანქანებით მოიტანეს 3.260 კუბმეტრი შეშა სკოლებისათვის და 577 კუბმეტრი მასწავლებლებისათვის; შეკეთდა 644 მერხი, 93 საკლასო დაფა, 24 კარადა, 106 სკამი; დამზადებული და სკოლებში შიტანილია 158 კუბმეტრი ხე-ტყე, 5,5 ტონა კირი და 6.600 ცალი აყურო. სოფელ ალაგიჩის კოლმეურნეებმა სარეკორდოდ მოკლე ვადაში ააგეს ახალი შენობა რვაწლიანი სკოლისათვის. ახალი სკოლები შენდება აგრეთვე სოფელ თხიმსა და აგარაკში. ყველა ამ ღონისძიებათა შედეგად რაიონის სკოლები ახალი სასწავლო წლისათვის ძირითადად უკვე 5 ივნისს იყვნენ მზად.

ოზჰაჩირის რაიონი გამონაკლისს როდი წარმოადგენს. რესპუბლიკის სხვა რაიონებიდანაც მოდის ცნობები მასობრივ კვირაობებსა და ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების მომზადებაში მშრომელთა აქტიურ მონაწილეობაზე.

მომავალ სასწავლო წელს პარტიული ორგანიზაციებისა და სახალხო განათლების ორგანოების განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა იყოს საყოველთაო სავალდებულო სწავლების წარმატებით განხორციელება. მთელი მოზარდი თაობის სავალდებულო სწავლება იყო და არის უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე, სოციალიზმის ქვეყნის შემდგომი კულტურული და ეკონომიური განვითარების, მისი ძლიერებისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების აუცილებელი პირობა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სკოლის ასაკის ბავშვთა ზუსტად აღრიცხვას. ბავშვთა აღრიცხვის მნიშვნელობა უფრო მეტად იზრდება იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენს რესპუბლიკაში შემოღებულია სავალდებულო რვაწლიანი სწავლება. პარტიულმა ორგანიზაციებმა და სახალხო განათლების ორგანოებმა თვალყური უნდა ადევნონ იმას, რომ ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა აღრიცხვის ჩატარებისათვის პასუხისმგებლობა მარტო სკოლებსა და მასწავლებლებს არ დააკისრონ, ამ საქმეში ჩაებან საბჭოს აქტივი. მშობლების, შეფების, სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების დახმარებით სახალხო განათლების ორგანოებმა წარმატებით უნდა შეასრულონ მათ წინაშე დასახული ამოცანები საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელებისათვის.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაა სკოლების უზრუნველყოფა სახელმძღვანელოებით, პროგრამებითა და სხვა სასწავლო ხელსაწყოებით. პარტია და მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ და უთმობენ მშობლიურ ენაზე მაღალხარისხოვანი სტაბილური სახელმძღვანელოებით ყველა საფეხურის მოსწავლეთა უზრუნველყოფას. თუ 1948-49 სასწავლო წელს გამოცემული იყო 1.811 ათასი ეგზემპლარი, 1949-50 სასწავლო წელს გამოიცემა 3.100 ათასზე მეტი ეგზემპლარი სახელმძღვანელო. სახელმძღვანელოთა ეს რაოდენობა მთლიანად დააკმაყოფილებს მოსწავლეთა მოთხოვნილებას ყველა საგანში. საჭიროა, რათა სასწავლო წლისათვის უკეთ მოსამზადებლად სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებას ყველა რაიონი, სასოფლო საბჭო, ყველა სკოლა, ყველა ორგანიზაცია, რომელსაც კავშირი აქვს სახალხო განათლების საქმესთან.

ეჭვი არ არის, საქართველოს პარტიული ორგანიზაციები და სახალხო განათლების ორგანოები ენერგიას არ დაიშურებენ ნაკისრ ვალდებულებათა ბოლშევიკურად შესრულებისათვის, კიდევ უფრო გააძლიერებენ მუშაობას კომუნიზმის მომავალ მშენებელთა აღსაზრდელად.

ა. კვაჭაძე

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე

სამმხრივ სავაჭრო შეთანხმებათა ხელმოწერა სსრ კავშირსა, პოლონეთსა, ჩინეთსა და ჩეხოსლოვაკიას შორის

წარმატებით დამთავრებული მოლაპარაკების შედეგად, ამა წლის 29 ივნისს მოსკოვში ხელმოწერილ იქნა სსრ კავშირის, პოლონეთის, ჩინეთისა და ჩეხოსლოვაკიის მთავრობებს შორის სამმხრივი შეთანხმებანი საქონლის მიწოდების შესახებ ერთი წლის ვადით.

ამ შეთანხმებათა შესაბამისად ფინეთი საბჭოთა კავშირს მიაწოდებს 100 მილიონი მანეთის სტანდარტულ სახლებს, დახერხილ ხე-ტყეს, მცირე ზომის გემებს და სხვა საქონელს; საბჭოთა კავშირი პოლონეთს მიაწოდებს 80 მილიონი მანეთის სასურსათო საქონელს და ჩეხოსლოვაკიას—20 მილიონი მანეთისას, სულ 100 მილიონი მანეთისას; პოლონეთი ფინეთს მიაწოდებს 80 მილიონი მანეთის ქვანახშირს, ხოლო ჩეხოსლოვაკია ფინეთს მიაწოდებს 20 მილიონი მანეთის შაქარს, მანქანებსა და სამრეწველო საქონელს.

ურთიერთ ინტერესთა შესაბამისად დადებული შეთანხმებანი აფართოებენ საქონელბრუნვას შეთანხმებათა მონაწილე ქვეყნებს შორის და არსებითად შეავსებენ მათ შორის წინათ დადებულ ორმხრივ სავაჭრო შეთანხმებებს.

(საკდესი).

ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ

სოხუმი, 4 ივლისი. (საქდესი). რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის გლეხთა დელეგაციამ, რომელმაც რამდენიმე დღე დაჰყო აფხაზეთში, ინახულა სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა, სოფელ პირველი გალის სტალინური კონსტიტუციის სახელობის კოლმეურნეობა და გალის რაიონის კოხორის სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობა.

ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში დელეგაცია დაწვრილებით გაეცნო კოლმეურნეობის ცხოვრებას, დაათვალიერა მისი სამდიდრეები—ჩაის, ციტრუსების, ტუნგოს და თამბაქოს პლანტაციები, ბუტერბროდიული კულტურების სანერგეები, ელექტროსადგური, აგურკრამიტის ქარხნები და სხვ. ოქუმის კოლმეურნეობის დათვალიერებამ სტუმრებზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა.

— აქ, სოფელ ოქუმში,—თქვა დელეგაციის ერთ-ერთმა მონაწილემ ითო ლეშანურმ,—ჩვენ ვნახეთ ნაყოფიერი, კარგად დამუშავებული საკოლმეურნეო მინდვრები, აყვავებული ბაღები, სკოლები, საავადმყოფო, საზაფხულო და საზამთრო კლუბები და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი. კოლმეურნეობაში ჩვენ ვნახეთ დოვლათით სავსე კულტურული ცხოვრება, რომელიც ბევრად არ განსხვავდება ქალაქური ცხოვრებისაგან.

მინდვრებსა და პლანტაციებში სტუმრები უდიდესი ინტერესით ეცნობოდნენ ჩაის ფოთლის კრეფის აგროტექნიკას, უხვი მოსავლის მოყვანის მოწინავე მეთოდებს, ამის შესახებ დაწვრილებით ესაუბრებოდნენ კოლმეურნეებს.

სტუმრების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია სტალინური პრემიის ლაურეატთან, სოციალისტური შრომის გმირთან, კოლმეურნეობის ბრიგადირ ჩოქოლი ქვაჩახიასთან საუბარმა. ქვაჩახიამ რუმინეთის სოფლის მშრომელებს უამრავ ჰექტარზე სიმინდის ათასფუთიანი მოსავლის მოყვანის თავისი გამოცდილების შესახებ.

დელეგაციის მონაწილეებმა ბევრი შეკითხვა მისცეს სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების განხორციელების შესახებ, კოლმეურნეობაში მიწათსარგებლობისა და შრომის ორგანიზაციის შესახებ. ყველა შეკითხვაზე მათ ამომწურავი პასუხი მიიღეს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გიორგი ჯგუბურიამ სტუმრებს დაწვრილებით უამბო კოლმეურნეობა მუშაობისა და ცხოვრების შესახებ.

კოლმეურნეობის გუნდმა და სასულე ორკესტრმა სტუმრებისათვის შეასრულეს სიმღერები ამშობლოზე, სტალინზე, უჩვენეს მათ თავიანთი ცეკვები. რუმინელმა სტუმრებმაც თავის მხრივ იმღერეს რუმინული სიმღერები და შეასრულეს რუმინული ცეკვები.

დელეგაციამ აფხაზეთის კოლმეურნეების უძღვნა თავისი ეროვნული ტანსაცმელი, ლამაზად მოქარგული ხალიჩა და სხვა საჩუქრები. ოქუმელებმა თავის მხრივ სტუმრებს აჩუქეს ქართული ეროვნული ტანსაცმელი.

სტალინური კონსტიტუციის სახელობის კოლმეურნეობაში დელეგაციამ ანახულა ციტრუსოვანთა პლანტაციები, დათვალიერა სიმინდის უხვმოსავლიანი მინდვრები, რომლებიდანაც შარშან კოლმეურნეობამ 110 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 70 ცენტნერზე მეტი მარცვალი მიიღო. ამ არტელის კოლმეურნემ ერასტო ეზუბაიამ სტუმრები თავისთან სადილად მიიპატიჟა.

კოხორის საბჭოთა მეურნეობაში დელეგაცია გაეცნო მეურნეობის წარმოების ორგანიზაციას, დათვალიერა ლიმონის, ფორთოხლისა და მანდარინის პლანტაციები.

რუმინეთის გლეხთა დელეგაციასთან ერთად აფხაზეთის კოლმეურნეობები ინახულა აგრეთვე რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მიწათმოქმედების მინისტრმა ვასილე გაიდამ.

პროფკავშირთა მეორე მსოფლიო კონგრესზე

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ბრძოლა მშვიდობისა და ხალხთა დემოკრატიული უფლებებისათვის და პროფკავშირული ერთიანობისათვის

ვ. ვ. კუზნეცოვის მოხსენების დასასრული*

მიუხედავად ამერიკის იმპერიალისტების ხსენებულ ცდებისა, ჩვენი ფედერაცია ცოცხლობს და თავის მოღვაწეობას ავითარებს მთელი მსოფლიოს მშრომელთა საკეთილდღეოდ.

პროფმოძრაობის რეაქციულ ელემენტებს, რომლებსაც სათავეში უდგანან ამერიკის შრომის ფედერაციის წინამძღოლები, რასაკვირველია, ხელი არ აუღიათ იმ განზრახვაზე, რომ შებოჭონ ფედერაციის საქმიანობა და ჩამოაყალიბონ თავიანთი გამთიშველი, შტრაიკბრეხერული ორგანიზაცია პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციისათვის დასაპირდაპირებლად.

ბურეუაზიულ პრესაში გამოქვეყნდა ცნობები გამთიშველთა ყურნეის თათბირის შესახებ. ამ თათბირის შედეგები, ახალი ცენტრის შექმნისათვის მზადების მათ მიერ მიღებული პროგრამა, მისი ინიციატორების ოფიციალური გაცხადებანი მკაფიო შუქს ჰფენენ გამთიშველების მიერ განზრახული ორგანიზაციის ხასიათსა და მიზნებს. ეს იქნება მასებს მოუყვეტელი ნაბუშარი ზედაფენური ბლოკი ინგლის-ამერიკის კაპიტალის ლაქიებისა, მუშათა კლასის მიმართ ტერორის, პოლიტიკური დისკრიმინაციისა და გამცემლობის ბლოკი.

დამახასიათებელია, მაგალითად, რომ ყურნეში მიწვეულ იქნენ ბოლოდმდე, როგორც ტიუმონში განაცხადა, მხოლოდ იმ პროფკავშირულ ცენტრებს, რომელთა პოლიტიკური შეხედულებები ისეთივეა, როგორიც ბრიტანეთის ტრედ-უნიონიზმის კონგრესის ლიდერებისა.

განა ეს ტიპიური ნიშანი არ არის დისკრიმინაციისა პოლიტიკური მოტივებით?

ახალი ორგანიზაციის მიზნების შესახებ კიდევ უფრო გულახდილად გამოთქვა აზრი კერძოდ. ახალი ორგანიზაციის პირველხარისხოვანი ამოცანა, განაცხადა მან, ის იქნება, რომ „შეასრულოს პრეზიდენტ ტრუმენის პროგრამა ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის ეკონომიური დახმარების გაწევის შესახებ“.

მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ეს ფრაზები „დახმარების“ შესახებ წარმოადგენენ შირმას იმ მისწრაფების დასაფარავად, რომ ამერიკელ მონოპოლისტებს დაუმორჩილონ ყველა კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყანა, აბადებული „მარშალის გეგმით“ მოიცვან ყველა კონტინენტი. კერძო-დიპლომატიის ახალი ორგანიზაცია მოწოდებულია გახდეს ამერიკის ექსპანსიის ბარიერი, „მოდარაჯე ქოფაკი“ (ჩირდაპირ ასე ამბობს კერძო გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ კორესპონდენტისათვის პარიზში 25 ივნისს მიცემულ ინტერვიუში) დოლარული ცარუდემოკრატიისა, რომელსაც კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში ნერგავენ.

საჭიროა უეჭველია, რომ მუშები ზურგს შეუქცევენ ამ აშკარა ანტიმუშურ მტაცებლურ პროგრამას. ისინი არ გაჰყვებიან შტრაიკბრეხერული ორგანიზაციის ინიციატორებს.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის პროფკავშირებში ძლიერდება პროგრესული ძალების ბრძოლა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციაში დაბრუნებისათვის. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციიდან გასვლის წინააღმდეგ აშკარად გაილაშქრა ამერიკის შეერთებული შტატების ისეთმა დიდმა პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, როგორიც არიან მეზღვაურთა და ნავსადგურების მტვირთავთა, მექურქეთა და ფეხსაცმლის მკერავთა, ელექტროსთა და სხვა პროფკავშირები, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციიდან გასვლის წინააღმდეგ გაილაშქრა ინგლისის 17 დიდმა პროფკავშირულმა ორგანიზაციამ, ასევეა სხვა ქვეყნებშიც. ის გარემოება, რომ ჩვენს კონგრესს ესწრება ბელგიის, ჰოლანდიის, ლუქსემბურგისა და სხვ. პროფკავშირების წარმომადგენელთა ჯგუფი, მშრომელთა ფართო მასების გაწყობილების მაჩვენებელია. დრო იმათთვის მუშაობს, ვინც ერთგულად და პატიოსნად ემსახურება მთელი მსოფლიოს მშრომელთა ინტერესებს.

კიდევ უფრო რომ ავამაღლოთ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ავტორიტეტი, ამისათვის საჭიროა დღითიდღე განვამტკიცოთ საერთაშორისო პროფკავშირული ერთიანობა, რომელიც მოპოვებულია მძიმე და შეუპოვარი ბრძოლით. საჭიროა გავაფართოოთ მშვიდობისა და დემოკრატიის მომხრეთა რიგები, სრული ძალისხმით გავაჩაღოთ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის საქმიანობა მუშის ეკონომიური და პოლიტიკური უფლებების დასაცავად.

მშვიდობისათვის ბრძოლაში და განავითაროთ ეს აქტივობა საწარმოებსა და დაწესებულებებში მშვიდობის მომხრეთა მუდმივი კომიტეტების შექმნის გზით. ამ კომიტეტების შექმნა ჯერ უნდა დამყარონ ამ ქვეყნების პროფკავშირებთან.

8) ერთიანობისათვის ბრძოლაში სერიოზული ფაქტორი შეიძლება გახდნენ და უნდა გახდნენ საწარმოო განყოფილებანი, რომლებიც პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ შექმნა და ქმნის. ცალკეული პროფესიების მუშათა გაერთიანებანი, მიუხედავად პროფკავშირული და პარტიული კუთვნილებისა, მშრომელთა საარსებო ინტერესებისათვის საბრძოლველად, საქმით გვიჩვენებენ ურთიერთდახმარებისა და კაპიტალისტური მონოპოლიების შემოტევის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის ნიმუშებს. საწარმოო განყოფილებანი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეის საუკეთესო გამავრცელებელნი, მუშათა კლასის ცალკეულ რაზმებს შორის გაღვივებული ანტაგონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღი იქნებიან. საწარმოო განყოფილებანი სეროზულად შეუწყობენ ხელს მშრომელთა საკითხების საერთაშორისო ერთიანობის განმტკიცებას.

9) მიზანშეწონილი იქნება, ჩვენი აზრით, განსახილველი საკითხის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, კონგრესის სახელით მთელი მსოფლიოს მუშებსა და მშრომელთ მიმართოთ მანიფესტით, რომელშიც მოვუწოდოთ მათ უფრო ფართოდ გაბმულ ბრძოლა ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებებისათვის, მშრომელთა საარსებო ინტერესებისათვის, პროფკავშირული მოძრაობის რიგების ერთიანობისათვის.

ძვირფასო მეგობრებო! ასეთია, ჩვენი აზრით, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის და მასში შემავალი ორგანიზაციების ამოცანები მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა საარსებო დონის ამაღლებისათვის ბრძოლის დარგში, პროფკავშირთა საერთაშორისო ერთიანობისათვის, მშვიდობისა და დემოკრატიული თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ეს ამოცანები განუყრელად დაკავშირებულია ერთმანეთთან.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია შექმნილია მუშათა და ყველა მშრომელთა ცხოვრებისა და შრომის პირობების გასაუმჯობესებლად, მშვიდობისა და დემოკრატიული თავისუფლებისათვის საბრძოლველად. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციაში მუშათა კლასის საერთაშორისო ერთიანობა ემყარება პროფკავშირთა ნებაყოფლობის და თავისუფალ თანამშრომლობას, რომლებიც წარმოადგენენ მუშათა კლასის უპარტიო ორგანიზაციებს იმისა, ეროვნების, რელიგიის ან პოლიტიკური რწმენის განურჩევლად.

ყოველ ნაციონალურ პროფკავშირულ ორგანიზაციას უფლება და შესაძლებლობა აქვს თავისუფლად განიხილოს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციაში ყოველგვარი საკითხები.

ამიხანაგებო, ჩვენი ორიანდა ერთიანობა, ორგანიზებულობა, დარაზმულობა, ურთიერთდახმარება. ერთიანობა და ურთიერთდახმარება მთავარი საწინდარია მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა წარმატებითი ბრძოლისა თავიანთი ინტერესებისათვის. სანამ ჩვენ ერთიანი ვართ, მანამდის ვერავითარი მტერი ვერ შეგვაშინებს. თუ ერთიანნი და შემჭიდროებულნი ვიქნებით, ჩვენ შევძლებთ დავიცვათ ჩვენი უფლებები. დაქსაქსულნი და ერთმანეთს დაშორებულნი, ჩვენ უძლურნი ვიქნებოდით კაპიტალთან ბრძოლაში.

ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია შეძლებს ხელახლა მშვიდობის დაცვის საქმის გარშემო მთელი მუშათა კლასი, შეძლებს გაანადგუროს ომის გამჩაღებელთა აგენტურა მუშათა მოძრაობაში და გამოიყვანოს მსოფლიო მუშათა მოძრაობა ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლის ფართო გზაზე.

დაე იცოდნენ იმპერიალისტებმა და მათმა ლაქიებმა, რომ ვერაფერი ვერ გასტეხს მუშათა კლასის მისწრაფებას ერთობისაკენ, მშვიდობისათვის, თავისუფლებისათვის, თავისი საარსებო ინტერესებისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს მუშათა კლასის საერთაშორისო ერთიანობას! უფრო მაღლა აგვწიოთ მშრომელთა საარსებო ინტერესებისათვის და მათი დემოკრატიული უფლებებისათვის ბრძოლის დროშა! გაუმარჯოს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას — მტკიცე მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობისათვის აქტიური და თანმიმდევარ მებრძოლს! (რომხსენებელის უკანასკნელ სიტყვებს დელეგატების მჭეხარე ტაში ფარავს. მთელი დარბაზი ფეხზე დგება და დიდხანს მხურვალედ მიესალმება საბჭოთა დელეგატს).

*) დასაწყისი იხ. № 132.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ამოცანები

როგორია პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ამოცანები მშვიდობისათვის, პროფკავშირული ერთიანობის განმტკიცებისათვის, მშრომელთა დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებებისათვის ბრძოლაში? ჩვენი აზრით, ეს ამოცანები მდგომარეობს შემდეგში:

1) ფედერაციამ და მისმა ორგანოებმა უფრო ფართოდ უნდა გააჩაღონ მუშაობა იმისათვის, რომ ამხილონ ომის გამჩაღებელები და მათი აგენტები მუშათა მოძრაობაში, იბრძოლონ იმისათვის, რომ ყველა მშრომელი ჩაება საყოველთაო - სახალხო მოძრაობაში მშვიდობისა და დემოკრატიული თავისუფლებებისათვის. ეს მუშაობა უნდა ჩავატარონ არა შემთხვევითად შემთხვევამდე, არამედ ყოველდღიურად, სისტემატურად და ბეჯითად. საჭიროა განვავითაროთ იგი ნაციონალური და საერთაშორისო მასშტაბით, წამოვაყენოთ კონკრეტული მოთხოვნები თვითეული ქვეყნის პირობების მიხედვით. მარშალიზებულ ქვეყნებში, რომლებსაც აწუხებს იმპერიალისტების ჩარევა ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, მუშები ძირითად ლოზუნგებად აყენებენ: იმის წინააღმდეგ ბრძოლას, რომ უცხოელმა მონოპოლიები ერეოდნენ სამშინო ცხოვრებაში — იმისათვის ბრძოლას, რომ ნაციონალური მრეწველობა გადარჩენილ იქნას „მარშალის გეგმით“ მოსპობისაგან, ბრძოლას იმის წინააღმდეგ, რომ დამოუკიდებელი ქვეყნები გადაიქცნენ ომის გამჩაღებელთა სამხედრო-სტრატეგიულ პლაცდარმებად, იმის წინააღმდეგ, რომ ისინი ჩათრეულ იქნან აგრესიულ ჩრდილო ატლანტიკის ბლოკში, ბრძოლას დემოკრატიულ თავისუფლებათათვის და მშრომელთა საარსებო დონის ამაღლებისათვის.

კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში მშვიდობის დაცვისათვის მოძრაობა უერთდება კოლონიური ჩაგვრისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლას, მონური იძულებითი შრომის წინააღმდეგ ბრძოლას, ნაციონალური განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, კოლონიური ქვეყნების ხალხთა თანამშრომლობისა და მეგობრობისათვის ბრძოლის ლოზუნგებს, იმ ხალხებისა, რომლებიც ერთნაირად იტანჯებიან იმპერიალიზმის და მისი აგენტურის — ადგილობრივი ბურჟუაზიისა და ფეოდალური ბროვის უღლისაგან, ქალაქისა და სოფლის მშრომელთა საარსებო და ეკონომიური ინტერესებისათვის ბრძოლის ლოზუნგებს.

ისეთ ქვეყნებში, როგორიც არიან ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი, მშრომელი მასები ეწევიან ბრძოლას გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, ხალხის მასობის საარსებო დონისა და მათს დემოკრატიულ თავისუფლებებზე მოხორციელების შეტევის წინააღმდეგ, მოითხოვენ, რომ მმართველმა წრეებმა ხელი აიღონ სამხედრო-ავანტიურისტული ბლოკების პოლიტიკაზე და დაუბრუნდნენ პატიოსან საერთაშორისო თანამშრომლობას, ელაშქრებენ ზანგების იძულებითი შრომის წინააღმდეგ, მშრომელთა სხვა კატეგორიების დისკრიმინაციის წინააღმდეგ, მოეწოდებენ მუშათა კლასს ერთიანობისაკენ თავისი საარსებო ინტერესებისათვის ბრძოლაში.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების პროფკავშირებმა მთელი თავიანთი მუშაობით დაამტკიცეს, რომ ისინი მშვიდობის საქმის სადარაჯოზე დგანან და იდგებიან.

შეიძლება ეჭვი არ ეიქონოთ, რომ საბჭოთა კავშირის პროფკავშირები ისევე ერთგულად და თანმიმდევრულად განაგრძობენ მშვიდობის განმტკიცებისათვის, დემოკრატიული ძალების შემჭიდროებისათვის ბრძოლას, როგორც დღემდე (ტაში).

2) პროფკავშირთა მეორე მსოფლიო კონგრესს საბჭოთა, ჩვენ გვგონია, საჭიროა მოწონებულ იქნას მშვიდობის მოძრაობა მსოფლიო კონგრესის მუშაობა და მანდატი, აგრეთვე ჩვენი ფედერაციის წარმომადგენელთა საქმიანობა მშვიდობის მოძრაობა კონგრესზე. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ და მისმა მომხრე პროფკავშირულმა ცენტრებმა და ორგანიზაციებმა უაღრესად აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტისა და ადგილებზე მისი ფილიალების მუშაობაში, მთელ მის ორგანიზაციულ, პროპაგანდისტულ და გამომცემლო საქმიანობაში.

მშვიდობისა და დემოკრატიული თავისუფლებისათვის ბრძოლას მუდმივი და მჭიდროი ხასიათი რომ მიეცეს, ამისათვის პროფესიულმა კავშირებმა უაღრესად აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ მშვიდობის მომხრეთა ნაციონალური კომიტეტების საქმიანობაში. პროფკავშირები, როგორც მუშათა კლასის ყველაზე მასობრივი ორგანიზაციები, სათავეში უნდა ჩაუდგნენ მშრომელი მასების მზარდ აქტივობას მშვიდობისათვის ბრძოლაში და განავითაროონ ეს აქტივობა საწარმოებსა და დაწესებულებებში მშვიდობის მომხრეთა მუდმივი კომიტეტების შექმნის გზით. ამ კომიტეტების შექმნა ჯერ უნდა დაამყარონ ამ ქვეყნების პროფკავშირებთან.

3) იმ მიზნით, რომ მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ გაილაშქრა ინგლისის 17 დიდმა პროფკავშირულმა ორგანიზაციამ, ასევეა სხვა ქვეყნებშიც. ის გარემოება, რომ ჩვენს კონგრესს ესწრება ბელგიის, ჰოლანდიის, ლუქსემბურგისა და სხვ. პროფკავშირების წარმომადგენელთა ჯგუფი, მშრომელთა ფართო მასების გაწყობილების მაჩვენებელია. დრო იმათთვის მუშაობს, ვინც ერთგულად და პატიოსნად ემსახურება მთელი მსოფლიოს მშრომელთა ინტერესებს.

კიდევ უფრო რომ ავამაღლოთ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ავტორიტეტი, ამისათვის საჭიროა დღითიდღე განვამტკიცოთ საერთაშორისო პროფკავშირული ერთიანობა, რომელიც მოპოვებულია მძიმე და შეუპოვარი ბრძოლით. საჭიროა გავაფართოოთ მშვიდობისა და დემოკრატიის მომხრეთა რიგები, სრული ძალისხმით გავაჩაღოთ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის საქმიანობა მუშის ეკონომიური და პოლიტიკური უფლებების დასაცავად.

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

ᲙᲐᲠᲒᲘ ᲜᲝᲒᲐᲗᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

გიორგი შატბერაშვილის წიგნი „კარგი ბიჭი“, რომელიც ახლახან გამოსცა საბლატგამმა, შეიცავს საბავშვო მოთხრობებს, ლექსებს და ერთ პატარა ინსცენირებას. წიგნში მოთავსებული მასალები კარგი ლიტერატურული ენით მოგვითხრობენ საბჭოთა ქვეყნის ბედნიერი ბავშვების ცხოვრებას, მათ სწავლას, შრომას და გართობას. პატარა გმირი მოთხრობისა—„ასე ტკბილად დამიძერდა“ უსაზღვრო სიხარულს განიცდის ახალი წლის დილას, რადგან მას მახადე არც კი განუცდია, თუ „ის კარგი ყოფილა ახალი წლის დღეა, რა ბედნიერი!

ღმით თოვლი მოსულა, ახალი, სპეტაკი თოვლით გადაპენტილა არემარე. ყველგან სიხარულია. ზოგი ჩურჩხელას აწვდის ცაგოს, ზოგი თოფლითი ტკბილ ლეღვის ჩირს...

ყველა ულიმის, ულოცავს და ეუბნება:

— ცაგო, მოგვილოცავს ახალი წელი!

— ცაგო, ასე ტკბილად დამიბერდი, ასე ტკბილად!“

საბჭოთა ქვეყანაში მარტოობას და უყურადღებობას არავინ განიცდის. ყოველ საქმეში იგრძნობა ზრუნვა ადამიანზე, მისი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. ამ თემას ეხება გ. შატბერაშვილის მოთხრობები „ხვალაც მოვალთ, ხვალაც!“ და „კარგი ბიჭი“. მათში ოსტატურად, მხატვრულად დამაჯერებელი ხერხებით არის გადმოცემული საბჭოთა მორალის სამპეტაკე, კოლექტივის დანაწევრების დიდი ძალა.

საბჭოთა ქვეყნის ნორჩი თაობის კეთილშობილური ბუნებას, მის მაღალ მორალურ თვისებებს ნათლად გვიჩენებს მწერალი თავის ნაწარმოებებში: „ჯიბის სანათი“, „უფროსი მეგობარი“, „თანდას სტვირი“.

საყურადღებოა წიგნში მოთავსებული ლექსები „მზის წერილი დიდ სტალინს“ და „ლავრენტი ბერიას“. მათში გამომხატულია გულწრფელი სიყვარული და ღრმა პატივისცემა იმ ადამიანებისადმი, რომელთა სახელი ყველა საბჭოთა პატრიოტისათვის ძვირფასი და ახლობელია.

სარეცენზიო წიგნში მოთავსებულ მასალებში ავტორი უმეტესის სოციალისტური ქვეყნის ახალგაზრდობის ხალისიან ცხოვრებას, მათს მაღალ თვისებებს.

წიგნი კარგად არის დასურათებული მხატვარ შალვა ცხადაძის მიერ. მხოლოდ ერთი შენიშვნა: მხატვარი უნდა ცდილობდეს ხაზუსტე დაიცვას ნაწარმოების ილუსტრირების დროს. სურათი ყოველმხრივ უნდა შეესაბამებოდეს ნაწარმოების შინაარსს. განსაკუთრებით დაკვირვებული თვალი აქვთ ამ მხრივ ბავშვებს. ისინი მაშინვე ამჩნევენ უმნიშვნელო შეუსაბამობასაც. მოთხრობაში „კარგი ბიჭი“ ავტორი წერს: „შავგვრემანი თორმეტ-ცამეტი წლის ბიჭი ტყის ბილიკით... უახლოვდებოდა სოფლის თავში მაღლობზე მდგარ ერთსართულიან პატარა სახლის კრმიდამოს. ქამარში თავდაყირა გარშემოცლი ხალდის წვერი თეძოში სჩხვლეტდა, სიარულს ეშლებოდა“. მოთხრობის ილუსტრაციაში კი წყალი გარშემოცლია შეშის კონში და არა ყმაწვილის ქამარში. ბავშვის ცნობისმოყვარე გონებისათვის ასეთს, თუნდაც უმნიშვნელო გადახვევას, გარკვეული მნიშვნელობა აქვს.

წიგნში გვხვდება კორექტურული შეცდომებიც.

კარგი იქნებოდა, რომ კრებულს თან დართოდა მოკლე განმარტებითი ლექსიკონი, ვინაიდან მასში ნახვრია ისეთი გამოთქმები, რომელთაც საქართველოს ყველა კუთხეში არ ხმარობენ. მაგალითად, დასავლეთ საქართველოს მკვიდრი ბავშვებისათვის განმარტება სჭირდება ისეთ სიტყვებს, როგორიცაა „ბაზო“, „კაჭაჭი“, „მამითადი“, „მერაბე“, „კერკი“ და სხვა, რომელთაც ავტორი ხმარობს თავის მოთხრობებსა და ლექსებში.

ზოგიერთ უმნიშვნელო ნაკლს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, გიორგი შატბერაშვილის წიგნი „კარგი ბიჭი“ კარგი ნობათია ჩვენი ნორჩი მკითხველისათვის.

გ. თუშიშვილი

ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ ᲜᲘᲙᲝ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲖᲔ

ამ დღეებში საქართველოს სსრ წიგნის პალატის გამომცემლობამ გამოსცა მწერალ სოლომონ ცაბაშვილის ბიო-ბიბლიოგრაფიული ნარკვევი „ნიკოლოზ დადიანის ლიტერატურული მემკვიდრეობა“. წიგნი გამოცემულია ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახელმწიფო მუზეუმის შრომების სერიიდან და შეიცავს ნიკოლოზ ტარიელის-ძე დადიანის (1844-1896) ცხოვრებისა და მოღვაწეობის გამუქებასა და მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის აღწუსხვას.

სარეცენზიო ნაშრომში საკმაოდ ვრცლად არის დახასიათებული ნიკო დადიანი როგორც პოეტი, ბელეტრისტი, პუბლიცისტი და მთარგმნელი, — მუდმივი თანამშრომელი გაზეთების „დროებისა“ და „ივერიისა“. ნარკვევის ავტორის სამართლიანი განსაზღვრით ნ. დადიანი არ იყო არცერთი ლიტერატურული სკოლის მეთაური და შემქმნელი, მაგრამ მისი თავისებურება წერისა, თემატიკის განსხვავებული დამუშავება, საგნისადმი მიდგომა, მეტყველების ნიუანსები და მხატვრული ალღო მას საკუთარი ხმის მფლობელად ჰქმნიდა, რაც მის თანამედროვეთათვისაც არ დარჩენილა შეუმჩნეველი.

სარეცენზიო ნარკვევის ავტორი ნ. დადიანის სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესასწავლად თვით მწერლის არქივსა და ქართულ პერიოდულ პრესას მიძართავს. ამ მასალებზე დაყრდნობით ნაშრომში საკმაო რელიეფურობით ჩანს ნიკო დადიანის პიროვნება, როგორც პრაქტიკული, ხალხოსნური ტიპის მოღვაწისა, მკურნალისა და განმანათლებელისა, ეროვნული სახალხო განათლებისათვის მებრძოლისა და როგორც საქართველოს ძველი ისტორიისა და ლიტერატურის მკვლევარისა. ისტორიისა და ლიტერატურის დარგში საგულისხმო და ნაყოფიერი მუშაობისათვის ცნობილი მეცნიერი, აკადემიკოსი ს. ჯანაშია ნიკო დადიანს ახასიათებდა როგორც „ყველაზე შესანიშნავ კაცს“ დადიანთა გვარიდან. მისივე განსაზღვრით, ნიკო დადიანს „იმდათად თუ ვინმე შეეძრებოდა ქართული ენის ცოდნაში თანამედროვეთაგან“.

ანტერესს იწვევს ნ. დადიანის შეხედულებანი ქართული ხელოვნებისა და, საერთოდ, ქართული კულტურის დიდი წარსულისა და მისი წვლილი ორიგინალობის შესახებ. ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიის“ (1891 წ. № 126) მოწონებულ სტატიად დაბეჭდილი ნ. დადიანის ვრცელი წერილი „ჩვენი გალობის აღდგენის სიტყვა — საქმედ“ — საყურადღებო ნიმუშია ჯანსაღი პატრიოტიზმისა, მშობლიური ერის სულიერი და ფიზიკური საგანძურის დაცვისა.

სარეცენზიო წიგნის ავტორის ცდა — მკითხველს წარმოუდგინოს ღვაწლი ნიკო დადიანისა, რომელიც ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო საქართველოს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობისა,—მხოლოდ აღწევს. მაგრამ წიგნში მაინც არის ზოგიერთი დაუზუსტებელი გამოთქმები და არასწორი ფორმულირებანი. მაგალითად, ნიკო დადიანის შედარება ლეონარდო და ვინჩისთან უთუოდ გადაჭარბებულია, მიუხედავად მისი ღვაწლის მრავალფეროვნებისა (გვ. 57); არც „მეფის ჩინოვნიკების“ მიერ „ახალგაზრდა თაობა აშორდის გულუბრყვილო ზრახვების პროვოკაციულად გამოყენება“ სწორი (59). უკანასკნელ ხანებში აღმოჩენილმა საარქივო დოკუმენტებმა საბოლოოდ დაადასტურეს, რომ აშორდია პროვოკაციის ანყისზე კი არ იყო წამოგებული, არამედ თვითონ იყო პროვოკატორი და აგენტი „მეფის ჩინოვნიკებისა“.

საერთოდ, ნარკვევი აგებულია მეტად საინტერესო მასალაზე, დაწერილია ლამაზი, ცოცხალი ენით და ბოლომდე შეუნელებელი ინტერესით იკითხება.

წიგნი გამოცემულია ლამაზად. დართული აქვს ძწერლის სხვადასხვა პერიოდის სამი ფოტოსურათი.

გ. თათარიშვილი

ᲤᲔᲠᲜᲐᲜᲓᲝ ᲡᲐᲜᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ᲫᲘᲚᲐᲜᲘ, 3 ივლისი. (საქდესი) გუშინ, პროფკავშირთა მეორე მსოფლიო კონგრესის დილის სხდომაზე ვ. ვ. კუზნეცოვის მოხსენების შემდეგ იტალიის დელეგატმა, იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის მდივანმა ფერნანდო სანტიმ გააკეთა თანამოსაუბრება „პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის საერთო პოლიტიკა და საქმიანობა პროფკავშირთა საერთაშორისო ერთიანობისათვის, მშვიდობისა და ხალხთა დემოკრატიული უფლებებისათვის ბრძოლაში“.

სანტიმ დაწვრილებით გაუშუქა ინგლის-ამერიკის პროფკავშირების მემორჯვენე ლიდერთა გამთიშველი საქმიანობა და შეჩერდა

უცხოეთის პრესის გამოხმაურება ამხანაგ გ. მ. დიმიტროვის გარდაცვალებაზე

პოლონეთი

ვარშავა, 4 ივლისი. (საკდესი). პოლონელი ხალხი სწუხს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის გ. მ. დიმიტროვის გარდაცვალებას.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ბოლესლავ ბერუტმა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს სამძიმარის დეპეშა გაუგზავნა.

გ. მ. დიმიტროვის გარდაცვალების გამო ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს გ. კოლაროვს სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ი. ცირანკევიჩმა.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებმა დღესასკმ და ალბრეხტმა ინახულეს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი ვარშავაში კოზოკა და სამძიმარი გამოუცხადეს მას პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით.

გ. მ. დიმიტროვის გარდაცვალების გამო პოლონეთის მთავრობის სახელით სამძიმარი გაუთქვა საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალურმა მდივანმა ვერბლოვსკიმ, რომელმაც დღეს ინახულა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი.

ჩინეთი

ბეიპინი, 4 ივლისი. (საკდესი). როგორც სინხუას საააგენტო გადმოგვცემს, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა 3 ივლისს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნა დეპეშა, რომლითაც სამძიმარს გამოთქვამს გ. მ. დიმიტროვის გარდაცვალების გამო.

ავსტრალია

სიდნეი, 4 ივლისი. (საკდესი). გაზეთები აქცენტებენ ყურადღებას გ. მ. დიმიტროვის გარდაცვალების შესახებ. რადიოსადგურებმა ორი რამდენჯერმე გადასცეს უკანასკნელ ცნობებში. ორივე გაზეთი აქცენტებს სპეციალურ სტატიებს, რომლებშიც მოყავთ გ. მ. დიმიტროვის ბიოგრაფიული ცნობები და მას ურწყებენ საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ერთ-ერთ გამოჩენილ მოღვაწეს.

ინგლისი

ლონდონი, 4 ივლისი. (საკდესი). როგორც „დეილი უორკერი“ იუწყება, ბრიტანეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ჰარი პოლიტმა ინგლისის კომუნისტური პარტიის სახელით სამძიმარი გაუგზავნა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და ბულგარეთის მშრომელებს იმ მძიმე დანაკლისის გამო, რაც მათ განიცადეს გ. მ. დიმიტროვის გარდაცვალებით.

მოსწავლეთის სახალხო რესპუბლიკა

ულან-ბატორი, 4 ივლისი. (საკდესი). დღეი მშუხარებით შეხვდა მონღოლი ხალხი ცნობას გ. მ. დიმიტროვის გარდაცვალების შესახებ. გუშინ რესპუბლიკურმა რადიოკომიტეტმა მოაწყო გ. მ. დიმიტროვისადმი მიძღვნილი სპეციალური რადიოგადაცემა. დღეს გამოვიდა რესპუბლიკური გაზეთების რიგგარეშე ნომრები. „უმენი“ პირველ გვერდზე სამგლოვიარო ჩარჩოში ათავსებს დიმიტროვის დიდ პორტრეტს, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობას და გ. მ. დიმიტროვისადმი მიძღვნილ სტატიებს. დღეს ულან-ბატორში ეწყობა გ. მ. დიმიტროვის ხსოვნისადმი მიძღვნილი მშრომელთა მიტინგები.

პოლანდია

ჰააგა, 4 ივლისი. (საკდესი). დღეს დილის ყველა გაზეთი ბეჭდავს გ. მ. დიმიტროვის გარდაცვალებისადმი მიძღვნილ სტატიებს. გაზეთი „დე ვაარჰეიდი“ წერს, რომ ჰოლანდიის მშრომელნი დიდად სწუხან საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის გარდაცვალების გამო. გაზეთი დაწვრილებით ასწერს ამხანაგ გ. მ. დიმიტროვის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

გაზეთი „დე ფოლკსკრანტი“ პირველ გვერდზე ბეჭდავს წაწყვეტს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობიდან ამხანაგ გ. მ. დიმიტროვის გარდაცვალების შესახებ. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს ამხანაგ გ. მ. დიმიტროვის თვალსაჩინო როლს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ალბანეთი

ტირანა, 3 ივლისი. (საკდესი). ტირანის რადიო იუწყება, რომ მთელმა ალბანელმა ხალხმა დიდი მწუხარებით შეიტყო ამხანაგ გ. მ. დიმიტროვის გარდაცვალება.

ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნა დეპეშა, რომლითაც სამძიმარს გამოთქვამს იმ დიდი დანაკლისის გამო, რაც ბულგარელმა ხალხმა და მთელი მსოფლიოს მშრომელებმა განიცადეს.

გაიხსნა გერმანიის დემოკრატ გლეხთა პარტიის პირველი ყრილობა

გუსტროვი, 4 ივლისი. (საკდესი). ქალაქ მილჰაუზენში (ტიურინგია) გაიხსნა გერმანიის დემოკრატ გლეხთა პარტიის პირველი ყრილობა.

გარდა საბჭოთა ზონის 700 დელეგატისა, ყრილობას ესწრებიან მრავალრიცხოვანი სტუმრები დასავლეთ გერმანიის გლეხთა გაერთიანებებისაგან, აგრეთვე ანტიფაშისტური დემოკრატიული პარტიებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები, გერმანიის სახალხო საბჭოს პრეზიდიუმის წევრები.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის საბელით ყრილობას მიესალმა ოტო გროტევოლი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ აუცილებლად საჭიროა მჭიდრო კონტაქტი ქალაქისა და სოფლის მშრომელთა შორის. ამ თანამშრომლობის გაძლიერებისათვის უნდა აღზრუნოს დემოკრატ გლეხთა პარტიამ. მუშათა და გლეხთა კავშირი ხელს შეუწყობს ეროვნული ფრონტის გაძლიერებას.

დამსწრეთა ტაშის გრიალში გროტევოლმა თქვა: „გლეხებს ჩვენი პარტია ყოველნაირად დაუჭერს მხარს. ჩვენ გვსურს ყველა საკითხი გადავწყვიტოთ ურთიერთ თანამშრომლობის გზით“.

მოხსენება თემაზე „დემოკრატ გლეხთა პარტია დემოკრატიისა და გერმანელი ხალხის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში“ გააკეთა პარტიის თავმჯდომარემ გოლდენბაუმმა.

კორეის ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტის ცენტრალური კომიტეტის კრებაზე

ფხენიანი, 1 ივლისი. (საკდესი). დამთავრდა ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პირველი პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები, არჩეულია ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტის ცენტრალური კომიტეტის ბიურო 27 კაცის შემადგენლობით, რომელთა შორის არიან კიმ ირ სენი, კიმ დუ ბონი, ხეგაი, პეკ ხენ ენი, კიმ დარ ხენი, კიმ ვონ ბონი და სხვები. ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეული არიან ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის დემოკრატიული პარტიების ლიდერები—კიმ დუ ბონი, ხო ხონი, კიმ დარ ხენი. ლი ენი, ო ენ დიუნი, ტენ ნო სიკი და ლი გიჯონ. პლენუმმა დაამტკიცა ცენტრალური კომიტეტის სტრუქტურა და ხელმძღვანელი შემადგენლობა. მიღებულია გადაწყვეტილება მოწყოს გაზეთ „სამამულო ფრონტის“ გამოცემა. პლენუმმა აგრეთვე დაამტკიცა კორეის განთავისუფლების მეოთხე წლისთავისადმი მიძღვნილი დღესასწაულის ჩატარების გეგმა და აირჩია დღესასწაულის ორგანიზაციული კომიტეტი.

პარტიზანული მოძრაობა სამხრეთ კორეაში

ფხენიანი, 4 ივლისი. (საკდესი). კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტოს ცნობით, პარტიზანები აქტიურ საბრძოლო მოქმედებას ეწევიან სამხრეთ კორეის ბევრ პროვინციაში. გენდიუნ რაიონში (ჩრდილოეთ ქენსანის პროვინცია) პარტიზანთა რაზმმა მოსპო 6 პოლიციელი და ხელთ იგდო მათი იარაღი. ენჩონის რაიონში პარტიზანული რაზმი თავს დაესხა პოლიციის სამმართველოს და მოსპო 12 პოლიციელი. გვასიანის ბრძოლაში (სამხრეთ ჩოლის პროვინცია) პარტიზანებმა და დამსჯელ რაზმს შორის სასტიკი ბრძოლის შედეგად მოკლულ იქნა 16 პოლიციელი. იმავე პროვინციის ბონხვის მაზრაში მოქმედმა პარტიზანთა რაზმებმა პოლიციის რამდენიმე ქვეგანაყოფი გაანადგურეს. 17 ივნისს ამ მაზრაში მოქმედი ერთერთმა რაზმმა გაანადგურა პოლიციის რაზმი, რომელიც საშველად მიდიოდა მაზრის პოლიციის უფროსის მეთაურობით. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ მოკლულ იქნა ხუთი პოლიციელი, 10 დაიჭრა, დანარჩენნი გაიქცნენ.

21 ივნისს პარტიზანთა რაზმი თავს დაესხა გენდიუნ ბაზრის კანსეს თემის პოლიციის გაყოფილებას. გაიფთრებული ბრძოლის შედეგად მოკლულ იქნა 22 და დაიჭრა 10-ზე მეტი პოლიციელი. პარტიზანებმა თან წაიღეს პოლიციელთა მთელი იარაღი. განადგურებული პოლიციის ნაშთებმა სასწრაფოდ გამოიწვიეს მაშველი ძალები, მაგრამ პარტიზანები ისე წავიდნენ, რომ არავითარი ზარალი არ მისცლიათ. გაიფთრებულმა პოლიციელებმა ცეცხლს ხელი აუკიდეს ახლომდებარე სოფლების მშვიდობიან მცხოვრებთა 200-მდე სახლი.

ჩრდილო ჩუნჩენის პროვინციის პარტიზანები ყოველდღე აფართობენ თავიანთ მოქმედების რაიონს და უფრო და უფრო გადამწყვეტ დარტყმებს აყენებენ ლი სი მანის პოლიციას. პარტიზანები წარმატებით იბრძვიან რეაქციონერებისა და მოღალატეების წინააღმდეგ ჩრდილოეთ ქენსანის, სამხრეთ ჩოლის, ჩრდილოეთ ჩუნჩენის პროვინციათა სხვა მაზრებშიც.

საომარი მზადება ჰოლანდიაში

ჰააგა, 4 ივლისი. (საკდესი). როგორც გაზეთები იუწყებიან, ჰოლანდიაში სხვადასხვა საომარი მზადება მიმდინარეობს. გაზეთი „დე ვაარჰეიდი“ წერს, რომ მტვერისასრუტავების დამამზადებელი ქარხანა—„ეფა-პროდუკა“ ამსტერდამში სამხედრო პროდუქციის წარმოებაზე გადაჰყავთ. სამხედრო სამინისტრომ დავალებით ქარხანამ უკვე დაამზადა რამდენიმე საცდელი ბომბი. როგორც უკვე წინათ იუწყებოდნენ, რამდენიმე კვირის წინათ ბრუმენში ერთი საწარმო აგრეთვე გადაყვანილ იქნა სამხედრო პროდუქციის წარმოებაზე.

ჰოლანდიის კოლონიური არმიის მხეცობა ინდონეზიაში

ნიუ-იორკი, 4 ივლისი. (საკდესი). „ახლო აღმოსავლეთში დემოკრატიული პოლიტბეჭისათვის ბრძოლის კომიტეტის“ ყოველთვიურმა ორგანომ ჟურნალმა „ფარ ისტერნ სპოტლაიტმა“ მოათავსა სტატია, სადაც მოყვანილია წერილი, რომელიც უპოვეს ტყვედ ჩავარდნილ ჰოლანდიელ ჯარისკაცს. ამ წერილში ლაპარაკია ჰოლანდიის კოლონიური არმიის სისასტიკეზე ინდონეზიელების მიმართ, რომლებიც თავიანთი შეყენის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან.

„ჩვენს ბრიგადას, — ნათქვამია წერილში, — დავალებული აქვს დაამყაროს წესრიგი დასავლეთ იავაზე. მაგრამ როცა შეიტყობთ, თუ რაგორ ხდება ეს, არასანიმავრო წუთებს განიცდით. დაბა ტასიკმალაიაში ქუჩებში გავლა მხოლოდ ისე შეგიძლიათ, თუ ცხვირზე ხელს მოიჭერთ, რადგან გზაზე უამრავი გვამები ყრია“. შემდეგ წერილში აღწერილია ინდონეზიელთა წამება: „უკანასკნელი საშუალებაა ელექტრომანქანის გამოყენება. მავთულებს ადებენ ყურსა და ხელზე, მანქანა აწყობს განუწყვეტლივ მუშაობას... ტყვეებს სახე ტკივილებისაგან ემანჭებათ... მას შემდეგ, როცა ტყვეზე საკმაო ზემოქმედებას მოახდენენ, იგი ქუჩაში გაჰყავთ ბადრაგით, და მან უნდა უჩვენოს იმ პირთა სახლები, რომლებიც მთებში მყოფ პარტიზანებთან თანამშრომლობენ. შემდეგ ამ ადამიანებს აპატიმრებენ და მათ სახლებს სწვავენ. ტყვეს, რომელმაც თავისიანები გასცა, ჩუმად კლავენ. მცველთა პატაკებში აღნიშნავენ: „ტყვე მოკლულია გაქცევის ცდის დროს“.



საქართველოს მოსწავლეთა მეორე სპარტაკიადის მონაწილენი—მარცხნიდან მარჯვნივ: რეკორდსმენი ბირთვის ტყორცნაში ნ. დევდარიანი (თბილისი), ჩოგბურთელი გ. მაშავა (ქუთაისი), ტანმოვარჯიშე შ. პატარიძე (გორი).

ფოტო რ. აკოფოვისა

მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადა

მსაჯის სასტვენის ხმაზე ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდები ჩამწკრივდნენ. მოსწავლეთა რესპუბლიკური თასისათვის ბრძოლის ფინალში ერთმანეთს ხვდებოდნენ თბილისის ვაჟთა 35-ე სკოლის და ხაშურის რაიონის გუნდები.

თბილისის ვაჟთა 35-ე სკოლის ფეხბურთელთა გუნდის (მწრთვნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. ჯეჯელავა) შეტევა სწრაფი და გააზრებული იყო. ათასობით მაყურებელი სიხარულით შესცქეროდნენ ახალგაზრდა ნიჭიერ თბილისელ ფეხბურთელებს, რომლებმაც სახელოვნად გაიმარჯვეს, 13:1 ანგარიშით დაამარცხეს ხაშურელები.

სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გ. მერკვილაძემ საქართველოს სსრ მოსწავლეთა თასი ფეხბურთში გადასცა თბილისის ვაჟთა 35-ე სკოლის მოსწავლეებს.

თბილისელმა წარჩინებულმა მოსწავლემ ნ. ლობჟანიძემ მოზარდთათვის ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა შუბის ტყორცნაში.

სიგრძეზე ხტომაში საუკეთესო წარმატებები მოიპოვა მოსწავლე ვ. კუროპატინმა (თბილისი). მოსწავლე გოგონებმა ნ. ჩიტოშვილმა და რ. მიშულინამ ცურვაში გუშინ რესპუბლიკური რეკორდები დაამყარეს. სირბილში, სიგრძეზე ხტომაში კვლავ თავი ისახელა ნ. ხნიკინამ (თბილისი). ჩოგბურთში პირველ ადგილზეა თბილისელი მოსწავლე ლ. კოკაია.

ტანვარჯიშში მესამეთანრიგოსანმა გოგონამ ზ. კაციაშვილმა (გორი) პირველი ადგილი დაიკავა. ჭაბუკთა შორის ტანვარჯიშში გაბარჯგვებული გამოვიდა მესამეთანრიგოსანი უ. სამადგლიშვილი (გორი). გუნდური შეჯიბრების დროს პირველი ადგილი დაიკავეს დუშეთის რაიონის მოსწავლეებმა, მეორე ადგილი—გორის რაიონმა.

ორი დღის დაძაბული ბრძოლის შემდეგ მძლეოსანთა შეჯიბრებაში წინ მიდის თბილისის მოსწავლეთა გუნდი. ცურვაში ჯერჯერობით პირველობას აფხაზეთის მოსწავლეთა გუნდი ინარჩუნებს.

სპარტაკიადის მონაწილე მოსწავლეებმა გუშინ დაათვალიერეს დედაქალაქის მნიშვნელოვანი ადგილები, ეცნობოდნენ მოწინავე სპორტსმენთა ტექნიკას. საღამოს თეატრებსა, კინოებსა და ბაღებში ისვენებდნენ.

დღეს მთავრდება სპარტაკიადა. შეჯიბრებაში გამარჯვებულნი მონაწილეობას მიიღებენ საკავშირო სპარტაკიადაში, რომელიც აგვისტოში გაიხსნება ლენინგრადში.

ა. გოცირიძე

ახალი წიგნები

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა: **ბ. ფურცხვანიძის წიგნი — ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.**

წიგნში გაშუქებულია შემდეგი საკითხები: პიროვნების ღირსებისა და პატივის ცნება, კლასობრივ საზოგადოებაში ღირსების დაცვის შესახებ კანონმდებლობის ისტორიული მიმოხილვა; სსრ კავშირში პიროვნების პატივისა და ღირსების ხელყოფის შესახებ კანონმდებლობის ისტორია; პიროვნების ღირსების წინააღმდეგ ხელყოფა მოქმედი საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით. წიგნს დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურის სია და ნორმატიული მასალა. წიგნი შეიცავს 293 გვერდს, ღირს 8 მანეთი და 50 კაპ.

* * *

შუა საუკუნეების ისტორია, მეორე ტომი, პროფესორების ს. ლ. სკაზკინისა და ო. ლ. ვაინშტეინის რედაქციით, თარგმანი ე. წულაძისა. წიგნი განკუთვნილია **სახელმძღვანელოდ** სტუდენტებისა და საშუალო სკოლის მასწავლებლებისათვის, აგრეთვე თვითგანვითარებისათვის. წიგნის რედაქტორია გ. გოზალიშვილი, შეიცავს 569 გვერდს და ღირს 19 მანეთი.

საზაფხულო კინოთეატრის კეთილმოწყობა

ხაშური. (საკ. კორ.). დამთავრდა რაიონის ცენტრში არსებული კინოთეატრის ეზოს შემოღობვა და კეთილმოწყობა. კინოკამერაში დაიდგა ახალი კინოაპარატურა. შეძენილია მასალა საზაფხულო თეატრის გადასახურავად.

საზაფხულო კინოთეატრის კეთილმოწყობაზე 14.000 მანეთი დაიხარჯება.

2 ივლისიდან დაიწყო საზაფხულო კინოთეატრში სურათების ჩვენება, რასაც დიდძალი მაყურებელი ესწრება.

ფეხბურთი

18 თამაშიდან 26 ქულა

სსრ კავშირის პირველობის გათამაშების მეორე ჯგუფის ცენტრალური ზონის ლიდერმა თბილისის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდმა მორიგი მატჩი ჩაატარა რიგაში ადგილობრივი ფიზკულტუროს სახლის ფეხბურთელთა გუნდთან. თბილისის „სპარტაკმა“, რომელსაც ჯერ არც ერთი ქულა არ დაუკარგავს გათამაშებაში, კვლავ გაიმარჯვა ანგარიშით 2:1.

ამრიგად, თბილისის „სპარტაკის“ გუნდს 13 ჩატარებული შეხვედრის 26 შესაძლებელიდან მოგროვილი აქვს მაქსიმუმი — 26 ქულა (ბურთების შეფარდებაა — 28:4).

სასამართლო ქრონიკა

შოფერ გ. ბ. ჯიკაევს ავტომანქანის **ავარიისა** და მოქალაქის დაზიანებისათვის სასამართლომ მიუსაჯა 7 წლის პატიმრობა და დაზარალებულის სასარგებლოდ 7.580 მანეთის გადახდა.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ი. ნატროშვილი

საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის სახელობის პოლიტიკური ინსტიტუტი აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1949-50 სასწავლო წელს შემდეგ ფაკულტეტებსა, სპეციალობებსა და სექტორებზე:

1. სამშენებლო ფაკულტეტი ა) სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა (ქართული სექტორი), ბ) საშუალო და მცირე ელადგურების მშენებლობა (ქართული სექტორი), გ) ავტომაგისტრალები და საქალაქო გზები (ქართული სექტორი), დ) ჰიდროტექნიკური მშენებლობა (რუსული სექტორი).

2. ელექტროტექნიკის ფაკულტეტი ა) ელექტრომადგურები, ქსელები და სისტემები (ქართული სექტორი), ბ) სამრეწველო საწარმოთა ელექტრომოწყობილობა (ქართული სექტორი), გ) ელექტრომანქანები და აპარატები (რუსული სექტორი).

3. სამთო ფაკულტეტი ა) სასარგებლო ნამარხების გეოლოგია და ძიება (ქართული სექტორი), ბ) მადნეულ ბუდობთა დამუშავება (ქართული და რუსული სექტორი), გ) სამრკეშეიდერო საქმე (ქართული სექტორი), დ) სამთო ელექტრომექანიკა (ქართული და რუსული სექტორი), ე) სამთო წარმოებათა მშენებლობა (ქართული სექტორი).

4. ქიმია-ტექნოლოგიის ფაკულტეტი ა) არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგია (ქართული სექტორი), ბ) სილიკატების ტექნოლოგია (ქართული სექტორი), გ) ელექტროქიმიურ წარმოებათა ტექნოლოგია (რუსული სექტორი).

5. მექანიკის ფაკულტეტი ა) მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია (ქართული სექტორი), ბ) ავტომობილები (ქართული სექტორი), გ) ტრაქტორთმშენებლობა (რუსული სექტორი), დ) კვების მრეწველობის დაწესებულებათა მანქანები და მოწყობილობანი (ქართული სექტორი).

6. მეტალურგიის ფაკულტეტი ა) შავ ლითონთა მეტალურგია (ქართული სექტორი), ბ) ლითონთა წენევითი დამუშავება (ქართული სექტორი).

დაუსწრებელი განყოფილება
ქ. თბილისში

ა) სამრეწველო-სამოქალაქო მშენებლობა (ქართული სექტორი), ბ) ელექტრომადგურები, ქსელები და სისტემები (ქართული სექტორი), გ) ელექტრომანქანები და აპარატები (ქართული სექტორი), დ) სამრეწველო საწარმოთა ელექტრომოწყობილობა (რუსული სექტორი), ე) სასარგებლო ნამარხების გეოლოგია და ძიება (ქართული სექტორი), ვ) სამრკეშეიდერო საქმე (ქართული სექტორი), ზ) არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგია (ქართული სექტორი), თ) მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია (ქართული სექტორი), ი) ავტომობილები (რუსული სექტორი), კ) დართვა და ქსოვა (ქართული სექტორი), ლ) ტყავის ტექნოლოგია (ქართული სექტორი).

ქ. ქუთაისში
(ქიროვის ქ. № 5 რუსული სკოლა)

ა) სამრეწველო საწარმოთა ელექტრომოწყობილობა (ქართული სექტორი), ბ) ავტომობილები (ქართული სექტორი).

ქ. ბათუმში
(შაუმიანის ქ. № 49).

ა) სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა (ქართული სექტორი), ბ) მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია (რუსული სექტორი).

ქ. ფოთში
(ქიროვის ქ. № 84).

ჰიდროტექნიკური მშენებლობა (ქართული სექტორი).

ქ. ჭიათურაში
(სტალინის ქ. № 44)

მადნეულ ბუდობთა დამუშავება (ქართული სექტორი).

ქ. ტყიბულში

მადნეულ ბუდობთა დამუშავება (ქართული სექტორი).

მისაღები გამოცდები იწარმოებს უმაღლესი განათლების სამინისტროს მიერ სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებელთათვის დამტკიცებული პროგრამების მიხედვით.

შემომსვლელთ განეხადება შემოაქვთ მიღებული ფორმით ინსტიტუტის დირექტორის სახელზე ფაკულტეტის, სპეციალობის და სექტორის აღნიშვნით.

განცხადებას თან ერთვის შემდეგი საბუთები: 1. საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი (დედანი), 2. ავტობიოგრაფია, 3. პასპორტი (წარმოიდგინება პირადად), 4. სამი ფოტოსურათი (უმეტადოდ, ზომით 3×4 სმ.), 5. ცნობა სამხედრო ვალდებულებისადმი დამოკიდებულების შესახებ.

განცხადება მიიღება 31 ივლისამდე ყოველდღიურად დღის 12 საათიდან საღამოს 7 საათამდე ინსტიტუტის მთავარ შენობაში (სამოსწავლო შესახვევი № 2/4).

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1-დან 20 აგვისტომდე. ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის მიმღებ კომისიაში.

დაუსწრებელ განყოფილებაზე მიიღებიან არჩეული სპეციალობის მიხედვით წარმოებაში მომუშავენი. განცხადებას თან უნდა დაერთოს აგრეთვე ცნობა სამსახურის შესახებ, თანამდებობის აღნიშვნით.

შემსვლელთ განეხადება შეაქვთ: თბილისში—ინსტიტუტის დირექტორის სახელზე, სხვა ქალაქებში — სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის გამგის სახელზე.

მისაღები გამოცდები დაუსწრებელ განყოფილებაზე იწარმოებს თბილისში 5-დან 25 აგვისტომდე, რაიონის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებში — 20 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე.

თეატრებში

რუსთაველის სახელობის (ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობაში)	6-VII „უჩა-უჩარდია“ 4. 20, 10 ად. 10 წარმ. 7-VII „პირველი ნაბიჯი“ ად. გარეშე
მუსიკალური კომედიის	6-VII „სოფლის საამო საღამოები“ 7-VII „ჩემი გიუზელი“

მოქალაქე **ანტონინა პანაიოტის ასულმა მიხაილიდიმ,** მცხოვრებმა ჯავახიშვილის ქ. № 13, აღარა საქმე საბრეთ ყაზახეთის ოლქში, ტაშკენტის რკინიგზის სად. თურქესტანი მიერგულისწყრი მცხოვრებ მოქალაქე **ელენეფორ ირაკლის-ძე ტომპოსიდთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციის მუშაკთა კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ვ. დემურიას მისი მამის **ივანეს** გარდაცვალების გამო.

მეუღლე ოლღა, შვილები გიორგი, ნადეჟდა, ვენერა, რძალი შურა, შვილიშვილები მარი, ნოდარ, ნელი იუწყებიან **ფარნაოზ გიორგაძე** სალონიკოვის გარდაცვალებას. პანაშვიდი 6-VII, 7½ ს. გამოსვენება 7-VII, 6 ს. სერგეი მესხის, 5.

სიდედრი დარეჯან ანჭოშვილი შვილებით, ქეთო, ელისო, თამარ, ნუნუ, თეიმურაზ, შვილიშვილებით გივი, მალხაზ, გურამ და ასაკოთი, რძლებით ქსენია და ნინოლით იუწყება **ილია ჩხეიძეშვილის** გარდაცვალებას.

ძმა გიორგი ჩხეიძეშვილი, რძალი თამარ, ძმისწულები ავთანდილ და ბელნარა იუწყებიან **ილია მიხეილის-ძე ჩხეიძეშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7, 8-VII, 8 ს. გამოსვენება 9-VII, 6 ს. ჰოროსის, 7.

ქატო, ლენა, მათიკო, მაშურა, ნუცა, ლელი, ბიშა, ხურაბ ქვარიანები, პეტრე ურუშაძე, დავით ავალიანი, შვილი, თემო გუგუნავები, ლია, ლეო დვალები იუწყებიან **ფარნაოზ გიორგაძე** სალონიკოვის გარდაცვალებას.

მეუღლე ეწუჭია, შვილები ვალოდია, ნათელა, ალიოშა, ანძი ილია გვასალია ოჯახებით იუწყებიან **ივანე ათანასეს-ძე დემურიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-VII, ს. ახუთში (ჩხოროწყუს რაიონი).

ანა, გიორგი, ელენე, სოსო, მელანია, დიმიტრი ჟვანიძეები, სოფიო უსტიაშვილი, ეკატერინე კაპანაძე ოჯახებით იუწყებიან **მერი ნიკოლოზის ასულ კავკასიძე-ისაკაძის** გარდაცვალებას.

ვალოდია, ნინო, ნანული კავკასიძეები, თამარ, ვახტანგ, გიორგი, ვასილ კასრაძეები, საალმე, ლადო მზარეულიშვილები ოჯახებით, მირიან, დონარა ბარნაბიშვილები იუწყებიან **მერი კავკასიძის** გარდაცვალებას.

შვილები რაჟდენ, თალიკო და ლიდა, რძლები თებრო, ეკატერინე და ნინო ოჯახებით იუწყებიან **ბარბალე გაბრიელის ასულ** ნინუას გარდაცვალებას. პანაშვიდი 6-VII, 8 ს. გამოსვენება 7-VII, 6 ს. მცხეთის, 72.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებების: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3-81-84, სახელფლ-სამეურნეოსი — 3-57-61, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და სპორტის — 3-80-83, კულტურის, ფიზკულტურისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ჯგუფისა და მშრომელთა წერილების — 3-78-24, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ტირაჟი 150.000

ᲣᲡ 01858